აპრილი
1928 წ.
№ 28

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
AVRIL
1928—№ 28

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

მეთაური—კავკასიის სადარაჯოზედ.
რ. ინგილო—ქართლის ბედი და მტერთა სინიდისი.
კ. გვარჯალაძე—ირლანდიელების ბროლა თავისუფ.
გაზიმირ დელამარ—ბ-ნო თავმ., ბ-ნო. სენატორნო!
უცხოეთის ქრონიკა.
რას სწერენ ბოლშევიკებზე.
შ. ამირეჯიბი—ნ. ნიკოლაძე.
ს. შავიშვილი—გუსტავ ადორი და სხვ.

კავკასიის სადარაჯოზედ.

იმ დროს, როცა მტრის ბანაკში თავს რეტი ესხმით და არ იციან საითკენ გასწიონ—მარჯვნით თუ მარცხნით; როცა ევროპა-ამერიკაში აშკარათ იკაფავს გზას სულ ახალი წინასწარ შეთანხმებული მიდგომა საბჭოთა საკითხისადმი; როცა ანტიბოლშევიკური რუსული წრეები უცხოეთში პატრიოტულ აღტყინებას განიცდიან ამის გამო «ქვეყნის დამცველ» ბოლშევიკების მიმართ,—ჩვენი ვალია განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ჩვენს საერთო სამშობლოს მეზობლებთან—კავკასიას და მის როლს მოახლოებულ დიდ გადატეხვის დროს.

ჩვენ არა ერთხელ გვსმენია უცხოელ მეგობრებისაგან ერთი პარადოქსი: კავკასიის სიმდიდრენი ერთსა და იმავე დროს ბედნიერებაცაა და უბედურებაც კავკასიელთათვის! ბედნიერება იმ მხრივ, რომ არის ნამდვილი მატერიალური ბაზა დამოუკიდებელ არსებობისათვის; უბედურება იმ მხრივ, რომ ეს სიმდიდრენი თავი მიზეზია მოსკოვის იმპერიალიზმისა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ საბჭოთა მთავრობას თავის მოლაპარაკებებში უცხოეთთან მართლაც კავკასიის სიმდიდრენი გამოაქვს, როგორც მთავარი მიმზიდველი ობიექტი, ჩვენთვის აშკარაა საიდან წარმოსდგება ეს «ბედი-უბედობა».

მაგრამ არის მეორე მხარეც არა ნაკლებ საგულისხმიერო: თუ კავკასიის სიმდიდრენი იზიდავენ ევროპა-ამერიკას, თუ წინეთ და ეხლაც გააქვთ იქ ამ სიმდიდრეთა ზოგიერთი მთავარი ნაწარმოები, ეს მოასწავებს იმ საანბანო ჭეშმარიტებას, რომ კავკასია შედის მსოფლიო ეკონომიაში, როგორც მისი ორგანიული ნაწილი. ამას დაუმატეთ კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობა ორ კონტინენტ შუა, მისი მნიშვნელობა ტრანზიტისა და მშვიდობიანობისათვის, აგრეთვე ისიც, რომ კავკასიის ერები კიდევ გუშინ თავისუფალი იყვნენ, საქართველოს კი არ დაუკარგავს დღემდე თავისი იურიდიული მდგომარეობა,—და თქვენ მიხვდებით, რომ კავკასიის საკითხი იმავე დროს საერთაშორისო საკითხია უაღრესათ.

თქმულიდან ნათლათ გამოსჭვივის კავკასიის ფარგლებში მოქცეულ ერების მძიმე პასუხისმგებლობა თავიანთ თავის და მომავალ თაობათა წინაშე. არ უნდა იქნეს ერთ წუთშიც დავიწყებული, რომ თუ მოსკოვს მოუხდა გართულება შინ ან გარეთ—და ეს, რასაკვირველია, თვით მისი ვერაგული პოლიტიკის წყალობით—, კავკასიის საკითხი თავის თავათ ამოტივტივდება ზედაპირზედ. და მაშინ, თუ კავკასიის ერები და მათი ხელმძღვანელნი არ იქნენ სათანადოთ დარაზმულნი, ე. ი. თუ მათ ვერ აჩვენეს დიდ სახელმწიფოთა სამსჯავროს ერთი სახე, ერთი ნების-ყოფა, ერთი ფრონტი,—სრულიად აშკარაა, რომ ჩვენ იგივე მოგვივა, რაც მოგვივიდა 1918—1921 წლებში! ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს ეს, ზედმეტია ახსნა-განმარტება... ნუ მივეცემით ოცნებას, არ არის სრულიად გამორიცხული, რომ დავსდგეთ ფაქტის წინაშე, ე. ი. ჩვენს ზურგს უკან გადასწყვიტონ ჩვენი ბედიღბალი! და ამაში კი თავი დამნაშავენი ჩვენ თვითონ ვიქნებით...

ევროპაში გავრცელებულია ყალბი აზრი—და გამავრცელებელი კი მოსკოვია—, ვითომ კავკასიის დაცემის მთავარი მიზეზი მის ერთა მტრობა იყო და მომავალშიც ვერ გამოიჩენენ ისინი ერთათ მოქმედების უნარსაო. სამაგიეროთ—ლაქლაქებენ იმავე მოსკოვის აგენტები—გასაბჭოებამ, იგულისხმეთ—რუსეთის გაბატონებამ, ერთის დაკვრით მოსპო ეს მტრობა და ნაცვლათ ამისა ძმობა-ერთობა გაამეფა ერთა შორისო. ჩვენ ვიცით ამ ყბედობის ფასი, სასაფლაოს სიჩუმე მტარვალებს «კაცთა შორის სათნოებად» გამოაქვთ. არას დროს არ ყოფილა, პირიქით, იმდენი ღვარძლი და უნდობლობა დათესილი კავკასიის ერთა შორის, როგორიც სწორეთ გასაბჭოების შემდეგ! ჩვენ დაგვჭირდება დიდი ენერგია მომავალში, რომ ამ ნათესმა დამღუპველი ნაყოფი არ გამოი-

ღოს. მაგრამ ჩვენ ვამყარებთ იმედებს თვით კავკასიის ერებზე, რომ გამოიჩენენ გადამწყვეტ მომენტში საღ პოლიტიკურ ყნოსვას და საზრიანობას, რათა მტერი არ გაახაროს.

ჩვენი ახლო წარსულიდან არ ამოიშლება ის დიდი ფაქტი, რომ ჩვენ პირველათ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ და მეორე დღესვე მთიელთა წინადადება მივიღეთ მათი კავკასიის ფარგლებში შემოსვლის შესახებ, რასაც დადებითათ შეხვდა მაშინდელი მთავრობა. მაგრამ არ დასცალდა ახალ სახელმწიფოს ოდნავ მაინც მომაგრება, რომ მოგვიხდა საგარეო გართულება, გამოწვეული ლენინის «პოხაბნი ზავით». ამ გართულებამ და არა სხვა რამემ გაგვყარა დროებით კავკასიის ერები, ეს დღეს არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს.

ამიტომ სასაცილოა, როცა ქვეყნის ორგულნი მოსკოვის ყმები გაიძახიან, თითქოს ჩვენ მათგან გვესესხნოს კავკასიის კონფედერაციის იდეა! რა შექმნეს მათ? «ამიერ-კავკასიის ფედერაცია», რომლის საუკეთესოთ კრემლის ხელშია, ხოლო ცალკე ერები მოკლებულ არიან ძველი რეჟიმის უბრალო საეროო უფლებასაც. რაც შეეხება მთას, იგი მიაკრეს რუსეთს და დაანაწილეს ცალკე ერთეულებად, რომ უფრო ადვილათ იბატონონ ყველაზე. ამას ეძახიან ისინი «ერთა თვითგამორკვევას, დამოუკიდებლობას, რესპუბლიკას, ფედერაციას»!

არა ერთხელ გვითქვამს, მოსკოვი იძულებულია ამ მაღალ-ფარდოვან უშინაარსო სიტყვებით დაფაროს თავისი სიტიტვლე, იმდენათ ძლიერია ერთა მისწრაფება თავისუფლებისადმი. კავკასიის ერნი ამ მხრივ არავითარ იეკვს არ ბადებენ, ისინი განაგრძობენ შეუპოვარ ბრძოლას მოსკოვის ბრეჟყალებიდან თავის დასაღწევათ.

მაგრამ ჩვენ ლაპარაკი გვაქვს მათი ერთსულოვან მოქმედებაზე როგორც შინ, ისე გარეთ, იმავე მიზნის მისაღწევათ. მწარე გამოცდილება წარსულში გაკვეთილია მომავლისთვის. ჩვენ შეგნებულათ უნდა ვეცადოთ ყოველივე, რაც გვთიშავს, უკან წავწიოთ, ხოლო რაც გვაერთებს წინ წამოვწიოთ. ჩვენ სულაც არ გვაკვირვებს, რომ ვდაობთ, მაგ., საზღვრების გამო,—განა რომელ სახელმწიფოს არ ჰქონია ეს დავა? თავი და თავი ისაა, რომ ჩვენ უკვე გამოვნახეთ ისეთი შემარიგებელი ფორმულა, როგორიცაა საგალდებულო არბიტრაჟი, ფორმულა, აღიარებული ერთა ლიგის მიერ, როგორც უებარი მეთოდი ყოველ დავის მშვიდობიანათ გადასაჭრელათ.

გარდა ამისა, პრინციპი კონფედერაციისა, რომელიც ჩვენ საფუძვლად დავუდევით ჩვენს მომავალ სახელმწიფოებრივ თანამშრომლობას, განა თავის თავათ არ გულისხმობს ამ დავის სიმწვავის ერთბაშათ გაქრობას? საბაჟო ერთობა, მიმოსვლისა და ტრანზიტის სრული თავისუფლება, საერთო თავდაცვა და დიპლომატია განა იმასვეს არ გულისხმობს? დასასრულ, დემოკრატიული ფორმა მართვა-გამგეობისა როგორც მთელი კონფედერაციისა, ისე ცალკე რესპუბლიკებისა, განა წინ არ გადაეღობება ერთი ერის უმართლოთ მოქცევას მეორე ერისადმი?

თავის თავათ ცხადია, ჩვენ გვმართებს, საერთო კონფედერატულ ორგანოების შექმნის დროს, დიდი სიფრთხილე და თანაბრათანობა, თუ გვინდა, რომ არ გაგვიცრუვდეს მათზე დამყარებული იმედები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის მფლობელობის წინ კავკასიის ერები ცალ-ცალკე განაგებდენ, ავათ თუ კარგათ, საუკუნეთა განმავლობაში, თავიანთ სვე-ბედს. ამიტომ მათი ისტორია, თავგადასავალი, განცდანი, ტრადიციები ერთი და იგივე არაა. საჭიროა, მაშასადამე, დრო, პრაქტიკა, გამოცდილება, რომ ცალკე რესპუბლიკებმა ნებაყოფლობით დაუთმონ კონფედერატულ ორგანოებს თავის უზენაესობის თუ გინდ უმნიშვნელო ნაწილი.

საქმის ინტერესი მოითხოვს არ დავერიდოთ იმის თქმასაც, რომ კავკასიის ერთა ორიენტაცია თვით კავკასიაზე ცოტათი მოიკოჭლებდა წარსულში და შეიძლება ეხლაც არაა მთლათ გამქრალი ეს ნაკლი. მკითხველი მიმხვდარია, რაზეა აქ ლაპარაკი. მაშინ როდესაც ქრისტიანები კავკასიისა ჩრდილოეთს მისჩერებოდენ, მაჰმადიანები სამხრეთისკენ იბრუნებდენ პირს. ეს იყო წარსულში და ერთგვარი ისტორიული გამართლებაც კი ჰქონდა მას. დღეს სულ სხვაა: განვლილმა საშინელმა ათმა წელმა ჩვენ უკვე დაგვანახვა, ერთის მხრით, რომ ბოლშევიზმი პირმშო შვილია რუსის ხალხის სტიქიისა, რომელთანაც არავითარი საერთო არა აქვთ არარუსებს, განსაკუთრებით კავკასიელთ; მეორეს მხრით, ქალიფატის გაუქმება სტამბოლში და ანგორის წმინდა ნაციონალისტური პოლიტიკა უკვე მეტერმეტყველურათ უჩვენებს კავკასიის მაჰმადიანებს, რომ ნამდვილი თანამედროვე ბაზა სახელმწიფოებრივობისა არის ეროვნება და არა სარწმუნოება.

მართალია, აზერბეიჯანლები ამბობენ, რომ ისინი თურქნი არიან რასით, მაგრამ რასა სხვაა და ეროვნება კიდევ სხვა. ეროვნება კულტურული ცნებაა, ნაყოფი თანამედროვე რთულ ცხოვრებისა, და ამ მხრივ კი აზერბეიჯანლები დიდათ განირჩევიან თურქებისაგან არა მარტო მთელი მათი წარსულით, რომელიც უფრო სპარსეთთან იყო გადაბმული—უმრავლესობა შიიტებია—, არამედ დიალექტითაც. რაც შეეხება მთიელებს, ესენი ხომ, ცოტა გამოკლებით, წმინდა კავკასიურ რასისა არიან, ასე რომ არ განსხვავდებიან ქართველებისგან ტიპით. ხშირათ ადათებით, ტემპერამენტით. დაგვრჩა სომხები, რომელთაც საშინელი უბედურება დაატყდათ თავს დიდი ომის დროს და მის შემდეგ,—ამიტომ კიდევ ბევრია მათ მოღვაწეთა შორის, ვინც რუსეთისგან ელის ხსნას! ეს ტენდენცია ასახსნელია. თუმცა არაბუნებრივი: მათ და რუსებ შორის სამი კავკასიელი ერი ბინადრობს—არას ვამბობთ უკრაინაზე!—როგორ გნებავთ ამ ერებს გადააბიჯოთ ფეხი და მოსკოვს მისცეთ ხელი? სომხის დღევანდელ რესპუბლიკის მშრომელი მასა ინსტინქტიურათ გრძნობს ამ შეუსაბამობას და სწორეთ ამიტომ გამოვიდა ის ასე გმირულათ 1921 წ., და გამოვა მომავალშიც დაკარგულ დამოუკიდებლობის აღსადგენათ. ჩვენ არას ვიტყვით ქართველებზე, ისინი ისედაც საკმაოთ არიან გარკვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ ფრიად საგულისხმიერო ფაქტს: მაშინ როდესაც ქრისტიანე ქართველები და სომხები ესაზღვრებიან მაჰმადიან ოსმალეთს, მაჰმადიანი აზერბეიჯანლები და მთიელნი ზედ ეკვრიან ქრისტიან ძველ რუსეთს. დაუშვით ერთ წუთს, რომ ეს ყოფილიყო წინაუკმო, რას მივიღებდით? ცხადია, ისინი მთლათ გაილესებოდენ რუსებთან ან თურქებთან, მათი ეროვნული სახეობის არაფერი დარჩებოდა! ჩვენ ხომ არ დაგვიწყნია, რომ სარწმუნოება ძველს დროში სახელმწიფოს შემკვრელი დულაბი იყო.

ერთი სიტყვით, რა მხრითაც არ უნდა მიუდგეთ საკითხს, თქვენ მიხვალთ ერთ დასკვნამდე: კავკასია და მისი ოთხი მთავარი ერი ერთმანეთს ეკუთვნიან, მათი გათიშვა არა-ბუნებრივია და ვერ გამართლდება ვერავითარი თვალსაზრისით. გეოგრაფიულათ ერთი მთლიანი ნაკვეთი, ხიდად დაგებული აზიასა და ევროპას შორის, დემოგრაფიულათ ტოლ ერთა მიერ დასახლებული, ეკონომიურათ განუყოფელი, პოლიტიკურათ მომწიფებული—კავკასია მოწოდებულია ითამაშოს ფრიად საპატიო როლი საერთაშორისო ასპარეზზედ... ერთი პირობით: თუ მისი ხელმძღვანელნი შესძლებენ ამ მოწოდების სიმაღლეზედ დგომას.

კავკასიამ დიდი ხანია მოიპოვა ადგილი მსოფლიო ეკონომიაში, მან უნდა მოიპოვოს ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაშიც. მაშ აქეთკენ, კავკასიის სადარაჯოზედ!

ქართლის ბედი და მტერთა ხინიდისი.

«სიბრძნე-სიცრუის» ერთ არაკში საბა-სულხანი მოგვითხრობს ავსიტყვა კაცის თაობაზე, რომლის «პირით კარგი სიტყვა არ აღმოვიდის». მაშინაც კი, როცა იმ ქვეყნის მეფე, სადაც ეს უცნაური ქმნილება თავის ხელობას ეწეოდა, ლაშქრად მივიდოდა და სთხოვა მას ერთი კარგი და მართალი სიტყვა ეხლა მაინც ეთქვა და თან ქრთამსაც შეჰპირდა, ავსიტყვამ კარგი სიტყვის დაკარგვა მაინც არ მოინდომა...

ამავე ხელობას მისდევენ რუსის ყველა ჯურის პოლიტიკოსები და პუბლიცისტები, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ესენი ავსიტყვობენ მომეტებულ ნაწილად მაშინ, როდესაც მოინდომებენ წერასა, ბაასსა, თუ მოქმედებასა საქართველოს საკითხთათვის.

ქვემორე სტრიქონების დანიშნულებას არ შეადგენს რუსის პოლიტიკურ მოღვაწეებთანა და მწერლებთან გამოდავება: ეს ჩემთვის არ არის საწადელი და არც თუ ჩვენი საერთო საქმისათვის დიდათ სასარგებლო, მაგრამ, ვფიქრობ, ქართველი მკითხველისათვის, განსაკუთრებით შინ-სამშობლოში-მყოფთათვის გამოუსადეგარი არ უნდა იყოს ასეთი ცნობების მიწვდა: თავისუფლების გუშაგთა რიგებში მდგომთათვის მოყვარეცა და მტერიც უნიღაბოდ სახილველი უნდა იყოს!

იმის თქმა როდი მინდა, რომ რუსებისაგან პირიქით მოსალოდნელი ყოფილიყოს ჩვენი ხოტბა, მაგრამ ახირებული ის არის სწორედ, რომ რუსების ყოფაქცევას ერთიანად აბნეული აქვს წონასწორობა და მათი მსჯელობაც ბნედიანის როშვას მიემსგავსება: ენა ისე არ გადაუბრუნდებათ, რომ ავი სიტყვით არ ახსენონ ქართველი ხალხი, მისი წარსული, ზნე, ადათები, მთელი ის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვისებანი, რაიცა ნიშანდობლივია ქართველობის კულტურულ-ისტორიულ სახისათვის.

თუ რომელიმე რუსს როდისმე სიმართლე წამოცდება საქართველოს შესახებ, ყოველს შემთხვევაში არ მოისურვებს ჩვენს აშკარა გაბიაბრუებასა და ლანძღვას, ჭეშმარიტად ასეთი შემთხვევა მოგაგონებს იმ პაწაწინა ოაზისოს, რომლის გაცასამტვერებლად საკმარისია ერთი ქარიშხლის დაკვრა!

სიმართლე და სამართლიანობა იმისთვის კა არ არის ქვეყნად შექმნილი, რომ იმათით სარგებლობა მაინცადამაინც ყველასათვის სავალდებულო იყოს და ესევე გაუგებრობა რუსულმა შეგნებამ აღნიშნა ხალხური თქმულობით; «პრავდოი დალეკო ნე უედეშ». როცა ხელსაყრელია, ყურიც მოყრუვდება, თვალით დაბრმავდება! ისაია წინასწარმეტყველსაც ასეთი «აუდიტორია» ეგულებოდა, რისხვით რომ წარმოსთქვა: «სმენით გესმოდეს, და არ გულისხმა ჰყოთ; ხედვით ხედავდეთ და არა იხილოთ»...

თუ კომინისტურმა ძალმომრეობამ იქ—საქართველოს მიწაწყალზე—საქვეყნოდ სინამდვილეში თავხედურათ შელახა ჩვენი ერის უფლებრივი ნორმები და საქართველოს წარსულის გმობა რევოლიუციის ერთერთ მიღწევად დასახა, როგორც წასახალისებელი და, თუ გნებავთ, სავალდებულო ლოზუნგი,—აქ, ემიგრაციაში თავმოყრილი რუსობა გამოუკლებლივ იმავე საქმეს თეორიულად ეწევა და დღემუდამ იმის ცდაშია, რომ ღეჭოს უზომოდ მობეზრებული ძველი ზღაპარი საქართველოს საუკუნოებში გადასულ დღეთა ფერმიხდილობისა, რომლის უეჭველი შედეგი, თუ რუსეთს მოწყალე თვალით არ გადმოხედა, ქართველობის სახსენებელის გაქრობა იქნებოდა დედამიწის ზურგზე.

ქართველი საზოგადოების ერთს ნაწილში კიდევ ბუდობს თავმოტყუება, თითქოს ბოლშევიკური მუხრუჭის დაწყვეტის შემდგომ შეუძლებელი არ იქნება რუსულ უფრო კულტურულ წრეებთან ადამიანური მოლაპარაკების გაბმა საქართველოს უფლებების დასაცავათ. ასეთები ზოგიერთ საბუთებზედაც ემყარებიან, მაგალითად, ამ რამდენიმე წლის წინათ პარიზის რუსულ ნაციონალისტურ გაზეთ «რუსსკოე დელო»-ში გამოქვეყნებულ საუბარზე გრ. ვეშაპელთან, რასაც მოჰყვა იმავე გაზეთის მეთაური, რომელიც თითქოს უზრუნველყოფდა ამგავარად დასმულ საკითხის განმზადებას. მართალია რუს ემიგრანტების «საზღვარგარეთის ყრილობამაც» რაღაც წაილულღლუა თვითგამორკვეულ ერთა უფლებების უზრუნველსაყოფად, მაგრამ ყველა ის მოვლენები, რაიცა ასეთ ზოგად განცხადებების გარეშე ხდება, იმისი დამამტკიცებელია, რომ რუსების შეხედულე-

ბა ჩვენს საკითხში არამც თუ არ შეცვლილა, პირიქით კიდევ უკან წაწეულა და უფრო გაანჩხლებულა.

თავის თავად ცხადია, რომ მომავალში რუსეთთან მოლაპარაკებას ვერ ავცდებით. პოლიტიკოსი პირველ ყოვლისა არ უნდა იყოს ბეცი და ცალმხრივი ჟინიანობით. შეპყრობაც საქმისთვის უკეთეს შემთხვევაში ურგია, ოცნებაში დალაგებულ გეგმებს ცხოვრება სულ ერთია არ მიიკარებს და გეოგრაფიული მოხაზულობაც პიროვნებების სურვილებს ხშირად არ ეშესებამება! ეს ბოლშევკური ყაიდაა—ზოგიერთს გაელაპარაკო, ზოგიერთს გაებუტო. ასეთს მასხრობისა და ოინბაზობის გზას ჩვენ ვერ შევუდგებით, გარნა მთელი ჩვენი წინასწარი მუყაითობა იქითკენ იქნება გადახრილი, რომ «მომდურავთან» პირისპირ შეხვედრისას სიტყვამიცემულვიყვნეთ ყველა იმ ხალხებთან, ვინც დღეს ჩვენებრ იწვიან და იდაგებიან...

ამასობაში-კი რუსული პოლიტიკური წრეების ჩვენდამი მტრული განწყობილება იზრდება, ქართველს მტკიცედ უნდა ახსოვდეს ეს. ზომიერი რუსობა უზომო საშვალებებს მიჰმართავს, რათა საქართველოს სახელმწიფოებრივობა თავისიანებსაც და სხვებსაც იმ სახით მოაჩვენოს, როგორც ამას რუსული დიდმფლობელობის განზრახვები მოითხოვენ. ამ ახლო ხანში გამოიცემა იტალიურად ერთი დიდგვაროვანი რუსის წიგნი, რომელშიაც სათანადო ადგილზე ის აზრი იქნება გატარებული, რომ საქართველომ თავის დამოუკიდებლობაზე უარი სთქვა ჯერ კიდევ რიურიკოვიჩების დროსვე. ავტორს საფიქრებელია სახეში აქვს 28 ენკენისთვის 1587 წლის ხელშეკრულება კახეთის მეფის ალექსანდრე II-ესა და მოსკოვის მეფეს თეოდორ იოანნოვიჩს შორის. ეს ის დრო იყო, როდესაც კახეთს სამხრეთიდან ოსმალეთი ემუქრებოდა, ჩრდილოაღმოსავლეთიდან—კი აწვებოდნენ დაღისტან-ავარელები განთქმული შამხალის მეთაურობით. რუსი ავტორი რასაკვირველია არ მოიხსენებს იმას, რომ ეს «ქვეშევრდომობა» ბოლოსდაბოლოს იმაში გამოიხატა, რომ კახეთის მეფემ ვალადიოო ყოველწლიურად ეგზავნა მოსკოვის სასახლის განსამშვენიერებლად 10 სპარსული ხალიჩა, ხოლო იქ მყოფ ბანოვანთათვის 50 ნაჭერი ოქროქსოვილი ფარჩისა, და რომ აღარც ქსენი გაიგზავნა, რადგანაც მოსკოვმა არ აღასრულა თავისი დაპირება ჯარით მოეშველებოდა კახეთს ოსმალთა წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ საქართველოში ჩამოსული 1589 წელს მოსკოვის საელჩო თავად ზვენიგოროდსკისა კუდამოძუებული უკანვე დაბრუნდა...

მაგრამ ეს კიდევ არაფერია: ემიგრაციის რუსობაში არიან თითო-ოროლა «სპეციბიც» საქართველოს საქმეთა შესახებ, რომელთა ხელობას სწორეთ ის ავსიტყვაობა შეადგენს, რაიცა საბა-სულხანის ზეგით—დასახელებულ გმირსა სჭირდა. აი თუნდა, მაგალითად, ალექსანდრე იაბლონოვსკი: თუმცა მისი ცოდნა ჩვენი წარსულისა ენციკლოპედიურ ლექსიკონის ცნობებით ამოიწურება, მაგრამ, რას იზამ, თურმე ესეც ერთგვარ «ერუდიციათ» საღდება. მახსოვს, როგორის ზიზღით სწვდა ეს «მკვლევარი განსვენებულ ჩხეიძეს, როდესაც მან 1923 წელს ქალაქ რიგის რუსულ გაზეთის თანამშრომელს განუცხადა, რომ საქართველო თავს იცავს რუსეთის იმპერიალიზმისაგანო. იაბლონოვსკიმ ბერლინის გაზეთ «რულ»-ში დიდი და მასთანავე მყრალი წერილი მოათავსა «კოროტკაია პამიატ», სადაც პირდაპირ სწერდა, რომ საქართველო-რუსეთის ისტორიული ურთიერთობა იმითი ამოიწურება, რომ პირველი სულმუდამ იღრიჯებოდა შველისა და მიერთებისათვის, მეორეკი ასევე ცივ უარზე იდგა მუდამ და ბოლოს ილაჯგაწყვეტილი იმპერატორი ალექსანდრე პირველი ვეღარ დაუდგა ამ ცრემლთა ფრქვევასაო... ხოლო იმის თაობაზე, თუ რა ხდებოდა ამ მოწყალების საპასუხოდ «აჯის» მიმრთმევლების ქვეყანაში 1802, 1804, 1810, 1812, 1830 წლებში,—ამეებზე იაბლონოვსკის «დავითნში» აღარაფერი სწერია! მაგრამ ეს მას არც ესაჭიროება: იმან ენა მოიფხანა ავი სიტყვით და რუსულ საზოგადოებასაც თეორიული ცოდნა შეჰმატა უმადურ ქართველებზე.

მე აღარ გამაკვირა იმ გარემოებამ, როდესაც რომში ერთმა ცნობილმა მეცნიერმა რუსის პროფესორმა ნაღვლიანად შემომჩივლა: რათ გინდათ უჩვენობაო? მე კიდევ მესმის, როდესაც სომხები და კიდევ ვიღაცეები სეპარატისტობენო, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, ნუ თუ «მილიე გრუზინი» ჩვენ აღარ გვეყოლებაო? თქვენ ხომ თვითონვე ითხოვდით შემოერთებასო! ვიფიქრე მაშინ, რომ ავსიტყვა მწერლების «ჩხრეკილობას» უნაყოფოდ არ ჩაუვლიამეთქი.

ამ ბოლო ხანებში რუსის ემიგრაციაში ამოტივტივდა კიდევ ერთი «სპეციალისტი» ჩვენი საკითხებისა—სემიონოვი, გუკასოვის «ვოზროჟდენიე»-ს რედაქტორი. თუმცა მან ისე გაიწია წინ, რომ თვით პეტრე სტრუვეც-კი დასცა «ორიგეზე», მაგრამ კავკასიოლოგის სახელი, ჩემის ჰაზრით, მაინც უსამართლოდ მიენიჭა: «ზაკავკაზსკი სეიმის» წევრობა ამ ტიტულისათვის ვერაფერი დიპლომია! ასეა თუ ისე, ამასაც ერგო ჩვენი წარსულის ჯიჯგნა—იმავე მიზნით, რომ ავი სიტყვის წამოყრანტალებით დაგვამდაბლოს და ჩვენი ბრძოლა თავისუფლებისათვის გაუგებრობად ჩასთვალოს. არ ვიცი, ეს უკანასკნელი თვის ისტორიულ «ღრმაჩაწდომაში» რომელი «დავითნით» სარგებლობს, ეცნევა-კი, რომ ამისი ტვირთიც მოიმსუბუქებს: თავის სადებიუტო წერილში—«კლევეტნიკი» ამ სემიონოვმა 1783 წლის ტრაქტატის ხელშემკვრელად მეფე გიორგი მე-12 გამოაცხადა და ამავე მეფეს დასწამა ისეთი საქციელები საქართველოს მიმართ, რაიც ჩვენი ისტორიის იმ ხანების ცოტად თუ ბევრად გაცნობილთ ღიმილს თუ მოჰგვრის. სემიონოვს ყური მოუკრავს, რომ გიორგი მეფეს 1798 წელს საქართველოს დესპანის თავად გარსევან ჭავჭავაძისათვის წერილი გაუგზავნია პეტერბურგში რუსეთის ქვეშევრდომობის მისაღებად. ამ ამბავს მეტისმეტ მხიარულ გუნებაზე დაუყენებია რუსის პუბლიცისტი: დაგიჭირეთო, გამოგვძახის სემიონოვი! სად წაუხვალთ ამ წერილსო? არც ეხლა წაიღებთ უკან თქვენს პრეტენზიებს? სემიონოვის ჰაზრით ქართველ საზოგადოებას ან გადუმალავს ეს წერილი, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სრულებით არა სცოდნია მისი არსებობა. ამ წერილს ქართველობა, განაგრძობს სემიონოვი, პირველად გაეცნო ზ. ავალოვის რუსული წიგნიდახო. ეტყობა ტყუილად გარჯილა ცხონებული პლატონ იოსელიანი გიორგი მეფის ზემოაღნიშნული წერილის სრული ტექსტის მოყვანით თავის დარბაისლურ წიგნში: «ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა *) და საქართველოს რუსეთთან შეერთება». მაგრამ სემიონოვი ავ სიტყვას რომ არ გაეტაცნა, გაეცნობოდა ამ წერილს, რომელშიაც, სხვათა შორის, ასეთს სიტყვებს ამოიკითხავდა: იმპერატორმა რუსეთისამ განამხნოს «აღთქმითა წერილითა ვითარმედ სახლსა შინა ჩემსა არა აღაყენოს მეფენი, გარნა ოდენ ამეფოს მემკვიდრითი მემკვიდრე ვითარცა წინაპარნი ჩემნი». წერილი მთავრდება შემდეგნაირად: «უკეთუ ჰაზრი ესე არ მიღებულ იქმნას, მაშინ ყოველი დამოკიდებულება ჩვენი იქმნების დახსნილი თვინიერ ურთიერთისადმი მეზობლურისა ქცევისა. მეფე სრულიად საქართველოსი გიორგი».

ისტორიული საქართველოს ჩაწიხვლით განაგულს იჯერებენ რუსის მწერლები? ვერც ახალი საქართველო გადურჩა მათ რისხვას! როცა რუსეთის ტერიტორიის «მობრგვალებისათვის» აღიძრება საკითხი, მისმა პოლიტიკოსებმა აღარ იციან, საით გასწიონ ზღვა და ხმელეთი, საქართველოსათვის-კი ისინი, თუ რამეს გამოიმეტებენ ამ მხრივ, ვილსონის ერთა თვითგამორკვევის რეცეპტს» არა სცილდებიან, ისიც ვიწრო «ეთნოგრაფიულს» ჩარჩოებში!.. და რადგანაც ჩვენმა სახელმწიფომ არ ინება თავისი შემადგენელი ნაწილების სხვებისათვის გადაცემა და საქართველოს საზღვრებს იქა ჰხაზავდა, სადაც მუდამ ქართული მეუფება ყოფილა, ნეტავ, ვის ესარჩლებიან, ვის უქონავენ თავს?! რა არის ეს: მეტიჩობა თუ პროვოკაცია?

დაპყრობითი ზრახვებსა და სხვათა ჩაგვრაზე აგებულია რუსების პოლიტიკური იდეალი! ვის დაავიწყდება, რომ მტრის მიერ გარემოცულ ტფილისის ზანზარის დროს, როცა დიდი და პატარა, ქალი და კაცი კრწანისისა და კოჯორის ჭექა-ქუხილს მთელის არსებით შეეპყრო, როცა იმედმიხდილი, გულჩათხრობილი ქართველობა ასისხლიანებულ თავისუფალ სამშობლოს უკანასკნელ სალამს უძღვნიდა და მიუთხრობელ მომავალს ლოცვითა და ხვეწნით მის შენახვას გამოსთხოვდა,—აი, ამ დროს «ზომიერი» რუსობა, ჩვენს სატახტო ქალაქში მყუდროთ ამოფარებული, მოუთმენლად მოელოდა ბოლშევიკური ბრბოების შემოსევას და უკვე ხმამაღლა ჰკიცხავდა «კუკურუზნაია რესპუბლიკას»!

საქართველოს დამხობას მთელი რუსობა სიხარულით შეჰხვდა და ამ საზეიმო ზახილის ნახმევი დღესაც არ დამცხრალა: იმავე იაბლონოვსკიმ ეს შემკრებილობითი სულისკვეთება ცოტა ხნის წინათ ყველასათვის გასაგებად აღბეჭდა: საქართველო რომ აქამდის გადარჩენილიყო, კავკასიის ერები ერთმანეთს გადასჭამდნენო! სჩანს სანუკვარი ყოფილა მხოლოდ ის, რომ კავკასიის ერები ერთბამად რუსეთისაგან ყოფილიყვნენ შეჭმულნი...

გზა სამშობლოს გამოხსნისა სახიფათო ქვებით არის ფენილი გაღმაცა და გამოღმაცა, გარნა თეთრი გიორგის გაქროლებული ჰუნეც ჩვეულია მტრებისაგან გადაღობილ სავალთა გადაჭრას...

ბრძოლის დროშა არ დაიხრება, ოღონდ სიმაგრე და თანხმობა ნუ დაგველეოდეს!

აკი მგოსანმაც—გმირების მძებნელმა—დაგვარიგა:

ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სახრჩობელაო...

რ. ინგილო.

*) საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი მე-12 ხშირად იწოდება მწერლების მიერ გიორგი მე-13-დ, გარნა საქართველოს მეფეთა გენეალოგიაში მოიხსენებიან მხოლოდ თორმეტი მეფე გიორგის სახელწოდებით. აღრევა ხდება იმიტომ, რომ გიორგი მე-11 შახნავაზის ძე ორგზით გამეფდა: 1676-სა და 1703 წელსაც.

ირლანდიელების ბრძოლა თავისუფლებისათვის.

II.

1800 წელს ირლანდიის პარლამენტი მოსპობილ იქნა და ის ინგლისის პარლამენტს შეუერთეს. ორი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მაგიერ ამიერიდან მხოლოთ ერთი გაერთიანებული სახელმწიფო იარსებებს. ორი სხვა და სხვა ქვეყნის მთავრობების ცენტრალიზაცია მოახდინეს, მაგრამ ამით ორი სხვა და სხვა ერი ერთმანეთს ვერ შეუერთეს. წინააღმდეგ 1800 წლის აქტით ირლანდია და ინგლისი ერთმანეთს კიდევ უფრო დაშორდნენ.

ინგლისთან შეერთების შემდეგ ირლანდია მეტათ ცუდ დღეებს განიცდიდა. ერის მაჯის ცემა მოდუნებულიყო და მთელი ქვეყანა დამბლა დაცემულს წააგავდა. სიღარიბე, შიმშილობა, საყოველთაო აპატია, უმოქმედობა და უიმედობა—აი რა ახასიათებდა მაშინ ირლანდიას. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა ის ერთი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში. მაგრამ მალე დანიელ ოკონელმა აუწყა მთელ ქვეყნიერებას, რომ ირლანდია არა მკვდარი, არამედ დროებით მიძინებული იყო. დანიელ ოკონელმა მიიღო თავის თავზე მისია ირლანდიის გამოღვიძებისა და მისი ფეხზე წამოყენებისა. ტიპიური ირლანდიელი, როგოც თავისი კარგი თვისებებით, ისე ნაკლუვანებით, საუკეთესო იურისტი და ორატორი, ფიცხი და მოურიდებელი, ძლიერი და ამაყი, ეგოისტი და კეთილი, მბრძანებელი და გამომწვევი, მდიდარი არგუმენტაციით და ხშირათ დემაგოგიც დანიელ ოკონელი ადვილათ აღაფრთო. ვანებდა ხალხს და მოუწოდებდა მას თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ. ოკონელის აზრით დიდი მიზნის მისაღწევათ საკმარიისი იყო მორალური ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ქონება, რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგებოდა, საჭირო იყო მხოლოთ ერში ამ მორალური ძალის გამოღვიძება და ლეგალური გზით მისი ამოძრავება. ასევე ფიქრობდა იმ დროინდელი კათოლიკობა, რომელიც მთელი თავის შემადგენლობით ოკონელს მხარს უჭერდა. 1823 წლიდგან ირლანდიაში ყოველგან არსდება კათოლიკეთა ასოციაციები და მთელი ირლანდია ამ ასოციაციებში ეწერება. მთავრობა ხურავდა ამ ასოციაციებს, ეს უკანასკნელი კი რამე ახალი სახელით ხელახლათ წარმოიშობოდა, ასოციაციები ილაშქრებდენ ირლანდიაში არსებულ მდგომარეობის წინააღმდეგ, იცავდენ ხალხს ფეოდალებისაგან, მოითხოვდენ არჩევნების უფლებას და სხვა. 1828 წელს ოკონელი, რომელსაც როგორც კათოლიკებს საზოგადოთ კანონის ძალით არ ქონდა უფლება არჩეული, ან ამრჩეველი ყოფილიყო, ხალხის მიერ მაინც იქნა დეპუტატათ არჩეული, შემდეგ წელს კი მთავრობამ კათოლიკეთა ემანსიპაციის კანონი გაიყვანა, რითაც კათოლიკებს პოლიტიკური უფლებები მიენიჭათ. დანიელ ოკონელი, გათამამებული ამ პირველი თავისი გამარჯვებით, ლეგალური აგიტაციის საგნათ ეხლა უკვე ირლანდიის ინგლისთან 1800 წლის შეერთების აქტის გაუქმებას აცხადებს და არწმუნებს ხალხს, რომ მისი მთავარი მიზანი მალე მიღწეული იქნება. ამ აქტის გაუქმების სასარგებლოთ აგიტაციამ მეტათ ფართე ხასიათი მიიღო 1843 წელს. ოკონელს იმ დროს უკვე უდიდესი სახელი და ავტორიტეტი ქონდა. მას განმათავისუფლებელის სახელიც კი დაერქვა. მთელი ერი ფეხზე იდგა და ოკონელს მხარს უჭერდა, როცა ეს უკანასკნელი მთავრობას მუქარით ეუბნებოდა: «ნუ თუ ირლანდიელებს მუდამ მოეპყრობიან, როგორც მონებს? ნუ თუ ირლანდიელები ნებას მისცემენ, რომ ისინი დაიმონავონ და შეურაცყონ სხვებმა? დეე, ჩვენი მტრები ჩვენ თავს დაგვესხნ! ჩემის მხრივ მე უნდა განვაცხადო, რომ ისინი გადაივლიან მხოლოდ ჩემს გვამზე!» მდგომარეობა მეტათ გამწვავებულია. ხალხის მღელვარება დიდია. ან უნდა დასთმოს მთავრობამ, ან მასთან კონფლიქტი აუცილებელია. ყველა ოკონელის განკარგულებას ელის. ეს უკანასკნელი კი ასწრებს მთავრობას და თვითონ მიდის დათმობაზე. ოკონელს ხალხსა და მთავრობას შორის კონფლიკტის ეშინია და ხალხს «გონიერებისაკენ» მოუწოდებს. «არ არის არც ერთი რევოლიუცია, რომელიც ერთ წვეთ სისხლათაც კი ღირდეს»—ამბობს ის. მთავრობა სარგებლობს ერის ხელმძღვანელის ასეთი განცხადებით და საპროტესტო მიტინგებს კრძალავს. მხოლოთ ლეგალური მოქმედების შიმდევარი ოკონელი სრულ მორჩილებას აცხადებს და ის ხალხზედაც ახდენს გავლენას. მაგრამ ამავე დღიდგან ხალხი მას თავის ნდობასაც ართმევს. შემდეგ ოკონელი 1800 წლის შეერთების აქტსაც ურიგდება და უბრალო ფედერაციით კმაყოფილდება. შეიძლება 20 წლის წინეთ ოკონელი მებრძოლთა პირველ რიგებში ყოფილიყო, მაგრამ 65 წლის მოქანცული და მოღლილი მოხუცი ურჩობას და ძალადობას ერიდება, უკან იხევს და დიდ კომპრომისზედაც მიდის. ირლანდიის უდიდესი მტერი ინგლისის შემდეგ ოკონელი არისო, ამბობდენ იმ დროს ირლანდიელი სეპარატისტები.

ისტორია სამართლიანათ აღნიშნავს ოკონელის დიდ სამსახურს თავის სამშობლოს წინაშე მის საზოგადო მოღვაწეობის პირველ ხანაში. იმ დროს სწორეთ ოკონელმა გამოაღვიძა ირლანდიელი ერი და გააღვივა მასში ცხოვრების და თავისუფლების სიყვარული. მან საზოგადოებრივი აზრი გადააქცია უდიდეს ფაქტორად, რომლისთვის აწი ინგლისს ანგარიში უნდა გაეწია. მაგრამ მეორე მხრივ მართალია ის შეხედულებაც, რომ თავის მოღვაწეობის მეორე ხანაში ოკონელმა დიდი ვნება და ზარალი მიაყენა ირლანდიის განთავისუფლების საქმეს. იმ მომენტში, როცა ადვილი შესაძლებელი იყო აბობოქრებულ ირლანდიელ ერისთვის ინგლის დაეთმო და 1800 წლის აქტი უკან წაეღო, ოკონელი, მოსალოდნელი კონფლიქტით დაშინებული, გადაჭარბებულად აჩქარდა, შექმნილ მდგომარეობას ვერ აუღო ალღო და მთელი თავისი უდიდესი გავლენა და პოპულარობა იმას მოანდომა, რომ თვით ირლანდიას დაეთმო ინგლისისათვის.

დანიელ ოკონელის ბრძოლის მეთოდების სასტიკ მოწინააღმდეგეთ ახალგაზდა ირლანდიელები გამოდიან. ოკონელის მიერ ძირს დაშვებულ დროშას ესენი იღებენ ხელთ და 1800 წლის აქტის გაუქმებას გაბედულათ მოითხოვენ. თუ ოკონელი ირლანდიაში ხედავდა მხოლოთ კათოლიკურ ირლანდიას, ახალგაზდები თომას დევისის, მიტჩელის, ობრიენის და სხვების მეთაუროთ ეხლა ეროვნულ იდეას აყენებენ წინ და ეროვნებას ტრადიციაზე, ისტორიაზე, ენაზე და ლიტერატურაზე ამყარებდენ. ცთილობდენ, ხალხს შეესწავლა მისი წარსული, ისტორია, ლიტერატურა და მასში ღრმათ აღზრდილიყო ეროვნული გრძნობა და შეგნება. ისინი გრძნობდენ სამღვდელოების გადამეტებულ გავლენას ხალხზე და ოკონელის იმ აზრისა, რომ ეროვნული დიდი მიზნის მისაღწევათ სრულიათ საკმარისი იყო მარტო ლეგალური გზების გამოყენება და ხალხის მორალური აღზრდა და ყველა სხვა გზები და საშვალებები უკუგდებულ უნდა ყოფილიყო.

დადგა 1848 წელი. დაიწყო რევოლიუციები პარიზში, ბერლინში, ვენაში, პრაგაში, იტალიაში. ეს რევოლიუციები დიდ გავლენას ახდენენ მთელ ირლანდიაშიც. ყველა იგონებს ეხლა იმ ფაქტს, თუ როგორ ისარგებლეს ირლანდიელებმა ინგლისს და ამერიკას შორის ატეხილ ომით (1776 წ.) და ამის შედეგში როგორ მოიპოვეს მათ დამოუკიდებლობა 1782 წელს, ყველა ამ 1782 წლის განმეორებას შეტრფის. ახალგაზდა ირლანდიელებს დიდი გავლენა აქვთ ხალხში და მათი ლიდერი მიტჩელი ეროვნული გმირი ხდება. ყოველგან არსდება კლუბები. ქმნიან ნაციონალურ გვარდიას. ირლანდია თავისუფლების მოახლოვების დღეებს ითვლის. მაგრამ საუბედუროთ ეროვნულ მოძრაობის მეთაურთა შორის უთანხმოება იჩენს თავს. მეთაურთა ერთი ნაწილი დაუყონებლივ მოქმედებას მოითხოვს, მეორე ნაწილი კი მომხრეა მოცთის და მზადების. ინგლისის მთავრობა სარგებლობს მეთაურთა ამ უთანხმოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, რომ მოძრაობა სათავეშივე ჩაჰკლას. ის ჩუმათ იარაღდება, იკავებს სამხედრო ძალებით ირთანდიის სატახტო ქალაქს დუბლინს, ატყვევებს მიტჩელს და სხვა მის თანამოაზრეთ. უკვე ცხადი შეიქმნა, რომ მოძრაობა დამარხებული იყო და ის ველარ გაიმარჯვებდა. მაგრამ რევოლიუციონური გამოსვლები მაინც მოხდა: ხალხი საბრძოლველათ მზათ იყო და მისი უკან დახევა ძნელი შეიქმნა. როცა ცენტრის, დუბლინის აღება აჯანყებულებმა ვერ მოასწრეს, მოქმედების ასპარეზათ პროვინციები გასადეს და შეიძლება პროვინციას კიდევაც გაემარჯვნა ცენტრზე, რომ მოძრაობას წინ არ გადაღობებოდა მთელი სამღვდელოება, რომელსაც ხალხზედ კიდევ დიდი გავლენა შერჩენოდა. მეთაურები გაიქცნენ, ან დაჭერილ იქნენ.

ირლანდიას ძვირათ ახსოვს ისეთი მდგომარეობა, რომელშიდაც ის 1848 წელს იმყოფებოდა. 1845 წელს მთელ ირლანდიაში კართოფილს გაუჩნდა რაღაც უცნობი ავათმყოფობა, რისგამო მოსავლის სამი მეოთხედი დაიღუპა. 1846 და 1847 წლებში ქართოფილის მთელი მოსავალი გააფუჭა ამ ავათმყოფობამ და ხალხი, რომელიც უმთავრესათ კართოფილით ირჩენდა თავს. საშინლათ დამშივდა. შიმშილის ნიადაგზე სხვადასხვა გადამდებ ავათმყოფობამაც იჩინა თავი. ქუჩებში ათასობით ადამიანის გვამებს წააწყდებოდა კაცი. მთელი ერი პანიკამ და სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. ვისაც კი შეეძლო გარბოდა. ემიგრანტების უმეტესობა ამერიკას მიაწვა, მაგრამ სანამ ამერიკას მიაღწევდენ, ათასობით იღუპებოდენ გზაში გემებზე. ორი წლის განმავლობაში შიმშილობის გამო 800.000 კაცი დაიღუპა. 1846 წლიდგან 1851 წლამდე 1.250.000 ირლანდიელმა მიატოვა თავისი სამშობლო და სხვაგან გადაიხვეწა. ეს მხოლოთ ემიგრაციის დასაწყისი იყო, ის შემდეგ აღარ შეჩერებულა და ნახევარ საუკუნეზე მეტი გრძელდებოდა.

ირლანდიელებს კართოფილს გარდა სხვა ბევრი რამეც მოყავდათ. 1846 და 1847 წლებში მათ საზღვარგარეთ გაქონდათ გაცილებით მეტი პური, ქერი, შვრია, საკლავი საქონელი, ვიდრე საკმარისი იყო მთელი ქვეყნის გამოსაკვებავათ. მაგრამ ყველაფერი ეს გადასახადებში მიდიოდა. ხალხს თავის სარჩენათ მხოლოთ ერთათ ერთი კართოფილი ქონდა და, როცა მას ეს კართოფილიც ავათმყოფობამ გაუნადგურა, ის, რასაკვირველია, დამშვიდებოდა. ინგლისის მთავრობა კი ხალხის საშველათ არავითარ რადიკალურ ზომებს არ ღებულობდა და უბრალო პალიატივებით კმაყოფილდებოდა. შესაძლებელია, ინგლისი ასეთ პოლიტიკას შეგნებულათაც აწარმოებდა: ეგებ ფიქრობდა, რომ ირლანდია შიმშილის, თუ ემიგრაციის გამო მთლათ დაიცლებოდა და მით ირლანდიის საკითხიც. თავის თავათ მოიხსნებოდა.

აი ასეთი მდგომარეობა იყო ირლანდიაში 1848 წელს, როცა ევროპაში მომხთარ რევოლიუციების გავლენით აჯანყების ალმა იქაც იფეთქა. როგორც ზემოთ დავინახეთ, ეს აჯანყება ინგლისის მთავრობამ ჩააქრო, თავისუფლებისათვის მებრძოლნი დროებით მიფანტ-მოფანტა და ნაადრევათ დაირწმუნა თავი, რომ ირლანდიის თავისუფლების იდეაც ვითომ სამუდამოთ ჩაკლა.

1848 წლის შიმშილობის და აჯანყების შემდეგ 10 წლის განმავლობაში ირლანდია მართლადაც მოქანცულობის და დემორალიზაციის სურათს წარმოადგენდა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდა. 1858 წლიდგან ირლანდიაში არსდება ყოველგან ჩუმი ორგანიზაციები «ირლანდიელი რევოლიუციური ძმობის» სახელით, რომელსაც დიდ დახმარებას უწევენ მორალურათ და მატერიალურათ ამერიკელი ემიგრანტი ირლანდიელები. 1865 წლიდგან დაწყებული მთელი სამი წლის განმავლობაში ეს ორგანიზაცია აწყობს ფართე ტეროორს ინგლისელების წინააღმდეგ, როგორც ირლანდიაში, ისე თვით ინგლისში. ინგლისის საზოგადოებრივი აზრი დიდმა პანიკამ შეიპყრო. ეხლა ის უკვე მიუთითებს იმ დიდ უსამართლობაზე, რომელიც ინგლისმა წარსულში ირლანდიაში ჩაიდინა და მოითხოვს მის რამოდენიმეთ გამოსწორებას. და მართლაც გლადსტონს გაყავს პარლამენტში ირლანდიელების სასარგებლოთ კანონი ეკლესიის და მიწის საკითხის შესახებ, როცა ის მთავრობის თავმჯდომარე ხდება 1868 წელს.

ჩუმი ორგანიზაცია «ირლანდიელი რევოლიუციონური ძმობა» დაინგრა, მისი ხელმძღვანელები დაიჭირეს, ან დახოცეს. მაგრამ სამი წლის ტეროორს შედეგათ მაინც ის მოყვა, რომ ლიბერალები და მათი ხელმძღვანელი გლადსტონი იძულებული შეიქნენ ირლანდიაში დათმობის და რეფორმების გზას დასდგომოდენ. ამავე დროს თვით ირლანდიაშიც ხდება ევოლიუცია. 1870 წელს იქ არსდება საზოგადოება, რომელიც თავის მიზნათ Home Rule-ის—ავტონომიის მოპოვებას ისახავს. Home Rule-ი, ირლანდიის ავტონომია ინგლისის ფარგლებში, ეს დიდი კომპრომისია ირლანდიის დამოუკიდებლობის საკითხთან შედარებით. 1874 წელს ეკემა გლადსტონის სამინისტრო, დგება კონსერვატორების მთავრობა დიზრაელის ხელმძღვანელობით, რომელიც სასტიკ წინააღმდეგობას უწევს, რომ ირლანდიაში შემოღებულ იქნას რამე რეფორმა.

ისაკ ბუტის შემდეგ ირლანდიის ნაციონალისტური პარტიის ლიდერათ პარნელი ხთება და 1878 წლიდგან ეს დიდათ ნიჭიერი ორატორი და დახელოვნებული ობსტრუქციონისტი აწარმოებს ბრძოლას პარლამენტში «ჰომრულის» სასარგებლოთ. პარლენის თაოსნობით ირლანდიაში არსდება მიწის ლიგა, რომელიც 1880 წელს სასტიკ ომს უცხადებს მსხვილ მიწათმფლობელთ. მალე ამ ლიგას აღკრძალავენ და მის ხელმძღვანელთ, მათ შორის პარნელსაც, დაიჭერენ, მიწის ლიგის გარეკას და მისი აქტიური ხელმძღვანელთა დაჭერას შედეგათ მოყვა ტეროორი მიწათმფლობელთა წინააღმდეგ მთელ ირლანდიაში, რამაც ინგლისი მეტათ ააღელვა. 1882 წელს გლადსტონი იძულებულია ციხეში მჯდომ პარნელთან მოლაპარაკება გამართოს და მით საერთო აღელვება, როგორც ირლანდიაში, ისე ინგლისში ცოტათი დააცხროს. დაჭერილებს ანთავისუფლებენ. აღკრძალულ მიწის ლიგის მაგიერ არსდება მეორე ახალი საზოგადოება ნაციონალური ლიგის სახელით. შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ (1885—1886 წ.) მთავრობები ზედიზედ იცვლება ინგლისში. 1886 წელს გლადსტონს შეაქვს პარლამენტში მის მიერ დაპირებული ჰომრული-ის პირველი ბილი და მიწის გამოყიდვის კანონი, რაზედაც მას პალატა უარს ეუბნება. 1886 წლიდან 1893 წლამდე კონსერვატორების სამინისტრო არსებობს და ამ ხანებში იწყება კონსერვატორების ინტრიგები პარნელის პიროვნების წინააღმდეგ. მას ცილს სწამებენ ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღებაში და ერთი ყალბი წერილის ავტორობაში. პარნელისვე მტრებისაგან შემდგარი კომისია პარნელს ამართლებს. მაგრამ მალე ამას ზედ ემატება ლიბერალების და თვით ირლანდიელების უკმაყოფილება პარნელის ინტიმური კავშირით მისი მეგობრის ცოლთან. პარნელისგან მოითხოვენ ლიდერობიდგან გადადგომას, რაზედაც ის უარს ამბობს. ამ საკითხის გამო ხთება განხეთქილება თვით ირლანდიელ ნაციონალურ პარტიაში. რამოდენიმე თვის შემდეგ პარნელი მორალურათ და ფიზიკურად მოღლილი და მოქანცული გარდაიცვება 1891 წელს გლადსტონს მეორეჯერ შეაქვს ჰომრულ-ის კანონ-პროექტი პალატაში 1893 წელს და გაყავს ის იქ კიდევაც, მაგრამ კანონპროექტს უკუაგდებს ლორდთა პალატა. მალე იწყება კონსერვატორების ათი წლის (1895—1905) ბატონობა და ამ ხნის განმავლობაში ისინი ჰომრულის საკითხს გააფთრებით ებრძვიან. 1905 წელს არჩევნებში ლიბერალები იმარჯვებენ და მათი მთავრობა დგება. ამ დროს ირლანდიის ნაციონალისტურ პარტიის ლიდერათ ჯონ რედმონდია.

(გაგრძელება იქნება)

ვ. ყვარჯალაძე.

შეცდომის გასწორება: პირველი წერილი—«დამოუკიდებელი საქართველო» № 27, გვ. 9, 31 სტრიქონი მაღლიდგან, უნდა იყოს: 1782 წელს ირლანდიის დამოუკიდებლობა ცხადდება.

რედაქციისაგან.

ჩვენ სიამოვნებით ვათავსებთ ქვევით ერთ ფრიად საყურადღებო ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც ეკუთვნის საფრანგეთის ცნობილ ეკონომისტ-პუბლიცისტს და სენატორს თეოდორ-კაზიმირ დელამარს. დოკუმენტი ატარებს «პეტიციის» სახელს და გადაცემულია თებერვალს 1869 წ. საფრანგეთის სენატისადმი. ის ეხება უკრაინის საკითხს და ასე გეგონებათ დღეს არის დაწერილი! ავტორი თითქო წინასწარ გრძნობდა საბჭოთა რეჟიმს და ცარიზმის დროის «ცივილიზაციას კომუნისტურს» უწოდებს! ტექსტში სიტყვა «უკრაინელის» ნაცვლათ ხმარებულია «რუთენი», ძველი ეთნოგრაფიული სახელწოდება უკრაინელთა და თეთრ რუსთა. გზა და გზა გაშუქებულია პოლონეთის და ლიტვის საკითხიც. საინტერესოა, ავტორს მიზნად დაუსახავს ერთი, შედარებით, უმნიშვნელო ნაკლის შევსება, სახელდობრ: შესწორებათა შეტანა ფრანგულ ლიცეებში (გიმნაზია) ხმარებულ სახელმძღვანელოში რუსეთის იმპერიის შექმნა-ზრდის ისტორიიდან.

«პეტიცია» ძალიან სასარგებლო დამატებაა ჩვენი მეთაურის «უკრაინა», მარტის ნომერში მოთავსებულის.

——

«ბატონო თავჯდომარე,

ბატონნო სენატორნნო!

არსებობს ვეებერთელა იმპერია, რომელსაც მოუცავს ნახევარი ევროპა და მესამედი აზია, რომელიც ემუქრება ერთს და იმავე დროს ავსტრიას და ოსმალეთს, სპარსეთს, ინდოეთს და ჩინეთს. ეს იმპერია, რომელიც შეუჩერებლათ იზრდება, გახლავთ რუსეთის იმპერია.

იგი შესდგება ხალხთა მოზაიკისაგან, რომელთ უმრავლესობა გმინავს უღელ ქვეშ და შეიქმნა ერთი ამ ხალხთაგანის მიერ სხვა დანარჩენების დაპყრობით. დამპყრობი ხალხია მოსკოველები; რაც შეეხება დაპყრობილთ, მათი რაოდენობა აურაცხელია; ჩვენ აქ დავასახელებთ მხოლოდ რუთენებს, ლიტველებს და პოლონელებს, რომლებზედაც გვექნება ლაპარაკი ამ პეტიციაში.

ჩვენ, საფრანგეთში, ჩავდივართ შეცდომას, რომელსაც შეიძლება მძიმე შედეგები მოყვეს,—როცა ამ იმპერიას მთლიან ერთეულად ვთვლით; პირიქით, მრავალფეროვანობა შეადგენს მასში გამეფებულ კანონს. ეს მრავალფეროვანობა მჟღავნდება თვით ამ იმპერიის მთავრობის ქმედობათაგან.

როცა რუსეთი ელაპარაკება ევროპას, ის უწოდებს თავის თავს სლავურს და ევროპიულს და მისი თვითმპყრობელი ირქმევს რუსეთის იმპერატორის სახელს; როცა ის მიმართავს აზიას, უწოდებს თავის თავს თურანელს, ე. ი. თათარს და აზიელს და მისი თვითმპყრობელი თეთრი ცარი ხდება *).

რა საჭიროა ეს ორპირი სახე? საქმე იმაშია, რომ ამ იმპერიაში ერთმანეთს ხვდებიან ერთსა და იმავე

---

*) ძველათ რუსის სახელწოდება ეკუთვნებოდა მხოლოდ რუთენებს, რომლებიც არიან სლავები და მაშასადამე ევროპიელები; რუსეთის იმპერატორის ტიტულიც სრულიად ევროპიულია. ის მხოლოდ 1721 წელს მიითვისა პეტრე დიდმა.

ცარ, პირიქით, არის ტიტული თათრული, თურანული და მაშასადამე აზიური, რაიცა ნიშნავს სტეპის (ველის) ბატონს. ის საბოლოოთ მიეკუთვნა მოსკოვიის სუვერენებს მას შემდეგ, რაც ივანე მრისხანემ დაიპყრო სამი ცარატი (სამეფო)—ციმბირის, ყაზანის და ასტრახანის.

თეთრი თათრულ ხალხებში ნიშნავს: უაღრესათ თავისუფალს, ყველასაგან დამოუკიდებელს.

თეთრი ცარი ნიშნავს, მაშასადამე თათარ ხელმწიფეს, დამოუკიდებელს ყოველივე სხვა ხელმწიფეებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს სლავური ხალხები—ევროპის მხრით და ტურანიული ხალხები—აზიის მხრით და რომ ამ ორი საწინააღმდეგო მიმართულებით დასაპყრობია კიდევ როგორც სლავური, აგრეთვე თურანიული ხალხები. საჭიროა მაშ წარუდგე თვითეულს როგორც ძმა, რომელიც მას ხელს უწოდებს.

მაგრამ იმპერიის შიგნით სად უნდა ვეძიოთ ამ ორ საწინააღმდეგო ელემენტების გამასხვავებელი ხაზი, ე. ი. ხაზი რომელიც ჰყოფს ევროპიულ და აზიურ ცივილიზაციებს, პარტიკულიარისტულ (კერძო პრინციპზე აგებულ) ცივილიზაციას კომუნისტური ცივილიზაციისაგან?

რომელ მხარეზე აქცევს ეს ხაზი მოსკოველებს, ხალხს, რომელმაც შექმნა და რომელიც მართავს იმპერიას? ერთი სიტყვით, მოსკოველები არიან სლავები თუ ტურანელები?

პეტერბურგის მთავრობა, რომლის ინტერესია მოსკოველები სლავებათ მოაჩვენოს, აწარმოებს ამ აზრით მეცნიერულ კამპანიას, ვინაიდან მეცნიერება მძლავრ პოლიტიკურ იარაღს შეადგენს მის ხელში.

ევროპიელი მეცნიერები კი ამ საკითხში გაყოფილნი არიან: ზოგიერთნი, შეცდომაში შეყვანილნი მოხერხებულათ ასხმულ ისტორიულ ტყუილებით, იხრებიან მოსკოველთა სლავებათ აღიარებისაკენ; სხვებს, პირიქით, მიაჩნიათ, რომ მოსკოველები თათრები არიან თავისი წარმოშობით და ინსტიქტებით, თუმცა ისინი ლაპარაკობენ სლავურ ენას, რომელიც არის რუსული.

ამ მეცნიერულ დავის პოლიტიკური შედეგები მეტად დიდია; ვინაიდან, თუ მოსკოველები არ არიან სლავები, თუ მათი ცივილიზაცია და მათი ზნე-ჩვეულებანი განსხვავდებიან მათ მიერ დაპყრობილ სლავების ცივილიზაციისა და ზნე-ჩვეულებებისაგან, ისინი ჰკარგავენ ყოველივე უფლებას დაპყრობილებზე, როგორც კი უკანასკნელნი პროტესტს განაცხადებენ დაპყრობის წინააღმდეგ.

და მართლაც, ხელოვნური გაერთიანება ვითომდა მთლიან ერთეულში რამოდენიმე ხალხების, რომლებიც სლავურ ენას ლაპარაკობენ, შეადგენს პირდაპირ ინტერესს პანსლავიზმისას, რომელიც სწორედ მხოლოდ ამ გაერთიანებაში მდგომარეობს.

ამგვარი გაერთიანება კი ხდება ჩვენი თვალის წინ. ჩვენ ვხედავთ, მართლაც, რომ უნივერსიტეტებში ერთმანეთში ურევენ ამ ორ ხალხს, რომლებიც სინამდვილეში სხვა და სხვანი არიან, კიდევ მეტი—აშკარათ ეპირისპირებიან ერთი მეორეს როგორც თავიანთი საწინააღმდეგო ცივილიზაციებით, აგრეთვე მათი ისტორიის ყველა ტრადიციებით.

ეს ორი ხალხი არის მოსკოველები და რუთენები, არეულნი საერთო სახელწოდების—რუსების—ქვეშ. მოსკოვიასა და პოლონეთს შორის მოქცეული რუთენები, რომელთაც მხოლოდ აკუთვნებდენ ძველათ რუსების და რუსეთელების სახელწოდებას, დაპყრობილ იქმნენ გასულ საუკუნეში მოსკოველების მიერ, და დამპყრობმა ხალხმა მიითვისა დაპყრობილ ხალხის სახელწოდება, რომ ამით მიეთვისებია გარეგნულათ უფლებები დაპყრობილ სამფლობელოზე. აი ამგვარათაა რომ სიტყვები რუსები და მოსკოველები დღეს ჩვენ სინონიმებათ გვეჩვენება, მაშინ როდესაც ნამდვილათ ისინი ისტორიკოსისათვის ძირიანათ განსხვავებული არიან ერთი მეორესაგან.

ამ განზრახ აღრევამ საშუალება მისცა მოსკოველებს მიეთვისებიათ რუთენების თვით ისტორიაც კი, თითქოს გვიან პოლიტიკურ ფაქტს შეეძლოს გავლენა იქონიოს ადრინდელ ეპოქათა ისტორიაზე.

მაშასადამე, სწორია იმის თქმა, რომ ევროპაში არის ხალხი, დავიწყებული ისტორიის წინაშე, ეს არის რუთენული ხალხი, თუთხმეტ მილიონიანი ერი, ე. ი. ისევე მრავალრიცხოვანი, როგორც ესპანიის მოსახლეობა, სამჯერ მეტი ბოჰემიის მცხოვრებლებზე და, ბოლოს, იმავე რაოდენობის, როგორც სენტ-ეტიენის ქვეშევრდომნი.

ეს ხალხი იქნებ მომსპარი იყოს? რა თქმა უნდა, არა. ის არსებობს, მას აქვს ისტორია, რომელიც განსხვავდება პოლონეთის და კიდევ უფრო მოსკოვიის ისტორიისაგან; მას აქვს თავისი ტრადიციები, თავისი ენა, განსხვავებული როგორც რუსული, აგრეთვე პოლონური ენისაგან; და, ბოლოს, მას აქვს თავისი აშკარად გამოსახული ინდივიდუალობა, რომლის აღდგენას ის განუწყვეტლივ მოითხოვს.

ისტორია ვალდებულია აშკარად განასხვავოს რუთენები როგორც მოსკოველების, აგრეთვე პოლონელებისაგან, ვინაიდან ისინი ისევე განსხვავდებოდენ უკანასკნელთაგან წარსულში, როგორც დღესაც განსხვავდებიან.

მაშასადამე, ჩვენ მოვითხოვთ რომ ისტორიის სწავლების პროგრამაში სრულიად მოკლე დამატებების საშუალებით მოხდენილ იქნას ამ სამ ხალხთა ისტორიის გაყოფა იმ პერიოდებისათვის, როცა მათი ისტორია განსხვავებულათ მიმდინარეობდა, და რომ მათ აღედგინოს მათი საკუთარი სახელწოდებანი ამავე პერიოდების განმავლობაში და ეს იმ მოსაზრებით, რომ მხოლოდ ეს სამი სახელწოდება—პოლონელები, რუთენელები და მოსკოველები—იძლევა საშუალებას გავარჩიოთ დღეს მკაფიოთ ერთი მეორესაგან ეს სამი ხალხი.

ოფიციალური პროგრამა იხსენიებს რუსეთს პირველად მხოლოდ პეტრე დიდის სახელთან ერთად და ისიც შემთხვევითი მოვლენის—მისი კარლოს მეთორმეტესთან ბრძოლის გამო.

ამით არ დახასიათდება მოსკოვიის ისტორია. ეს სახელოვანი დუელი იყო მხოლოდ წარმავალი ეპიზოდი; დამახასიათებელი ბრძოლა, რომელსაც ერთად ერთს შეუძლია აგვიხსნას მოსკოველების როლი ევროპაში, ეს არის ის საუკუნოებრივი ომები, რომლებიც მათ გაუმართეს რუთენებს და მათ მმართველ რუსის მთავრებს, შემდეგ ლიტვის სამთავროს, რომელმაც ეს უკანასკნელნი შეიერთა, და, ბოლოს, პოლონეთის რესპუბლიკას, რომლის საზღვრებში შედიოდა შემდეგ ნებაყოფლობით შემოერთებული ლიტვა.

როგორიც არ უნდა ყოფილიყო პოლიტიკური სახელწოდება რუთენების მიერ დასახლებულ მხარეების, ნამდვილათ ეს ხალხია, რომ ჯერ მარტო, შემდეგ კი ლიტველების და ბოლოს პოლონელების და-

ხმარებით, 7 საუკუნის განმავლობაში ტვირთულობს სიმძიმეს მოსკოველების მუდამ განახლებულ შემოტევისას, რომლებიც მოიწევოდენ ევროპაში, როგორც მოიწევენ დღესაც.

ეს გამუდმებული შემოტევა მოსკოვისა დნეპრზე მობინადრე სლავურ ხალხის და მის სახით ევროპელ ხალხთა წინააღმდეგ შეადგენს პირველხარისხოვან მნიშვნელოვან თვისებას აღმოსავლეთ ევროპის ისტორიისას; პროგრამა კი იჟვს არ ბადებს მისი არსებობისას.

კიდევ მეტი, თვით სახელწოდებანი მოსკოველები და მოსკოვის ცარატი ერთნაირად დავიწყებას მიეცენ. კურს დამთავრებულ ლიცეელებმა არც კი იციან რა ეწოდება ხალხს, რომელმაც დააარსა უუდიდესი იმპერია, დაიპყრო რუთენები, ლიტველები, პოლონელები და ამდენი სხვა ხალხები.

მათ არ იციან, რომ პეტრე დიდის წინამორბედნი იყვნენ მოსკოვიის ცარები და მოსკოვიტების თვითმპყრობელნი, და რომ თვით ამ ხელმწიფემ—შესძლო მიეღო თავისი სენატის დადგენილებით სრულიად რუსეთის იმპერატორის ტიტული (1 ნოემბერს 1721 წ.) მხოლოდ პოლტავის ბრძოლის წყალობით (1708 წელი), რომელმაც გახადა ის რუთენებით დასახლებულ მცირე-რუსეთის ბატონათ. ეს იყო პირველი რუსეთი მოსკოველების მიერ დაპყრობილი. *)

ამგვარად, ისტორიის სასწავლო პროგრამა საფრანგეთში საჯაროთ ადასტურებს ამ უზურპაციას, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს უდიდეს უზურპაციათ ისტორიის ანნალებში: დამარცხებულ ხალხის სახელწოდების დასაკუთრება დამპყრობელის მიერ, იმგვარადვე როგორც ისაკუთრებენ სხვის სამოსელს.

ისტორიამ არ უნდა დაივიწყოს, რომ პეტრე პირველამდე მათ, ვისაც დღეს ჩვენ რუთენებს ვუწოდებთ, ეწოდებოდათ რუსები ანუ რუსეთელები და მის ქვეყნებს—რუსეთი ანუ რუთენია, და რომ მათ, ვისაც ჩვენ დღეს რუსებს ვუწოდებთ, ეწოდებოდა მოსკოველები, ხოლო მათს სამშობლოს—მოსკოვია. **)

*) პოლტავაში კარლოს მეთორმეტესთან ერთად დამარცხებულ იქნა მთელი ევროპა. ამ გამარჯვების მეორე დღეს მოსკოველებმა პირველად მოიკიდეს საბოლოოთ ფეხი ევროპაში, დაიპყრეს რა მცირე-რუსეთი.

ეს გარემოება იმდენათ მნიშვნელოვანათ მიაჩნიათ მათ, რომ დღესაც ის ოფიციალური და რელიგიური დღესასწაულის საგანია მთელს იმპერიაში, თუმცა დანარჩენ გამარჯვებათა მოსაგონარი დღესასწაულები გაუქმებულია.

ეხლაც რუთენები, მცირე-რუსებათ წოდებულნი, არ აკუთვნებენ მოსკოველებს რუსების სახელწოდებას; ისინი მოითხოვენ თავისუფლებას. ხოლო პეტერბურგის მთავრობას ისინი პოლონელებზე უფრო საშიშ მტრებათ მიაჩნია.

**) თვით პეტრე პირველის ხანაში მეცნიერი გეოგრაფი დელილი 1721 წელს გამოქვეყნებულ თავის ატლასში ამ ხელმწიფის სამფლობელოს არ აკუთვნებს სხვა სახელს გარდა მოსკოვიის ცარატისა.—შემდეგში მოსკოვიას დაარქვეს დიდი-რუსეთი, ხოლო მის მცხოვრებთ—დიდი-რუსები, რაიცა გამოწვეული იყო გარდაუვალი აუცილებლობით გაენსხვავებიათ ისინი ნამდვილ რუსეთისა და ნამდვილ რუსებისაგან.

უკანასკნელ საუკუნის დასასრულს საფრანგეთში და ევროპაში ყოველმა კაცმა უწყოდა გარჩევა რუსეთსა და მოსკოვიას შორის; დღეს კი სპეციალური შესწავლაა საჭირო, რომ ამ შედეგს მიაღწიო.

საიდან მოდის ასეთი განსხვავება? მხოლოდ იქიდან, რომ მთელი საუკუნის განმავლობაში მოსკოვური მთავრობა ღონობს სრული არევ-დარევა შექმნას ამ ორი სიტყვის მნიშვნელობის შესახებ.

მაშ აღვადგინოთ ჭეშმარიტება წარსულის ისტორიულ შესწავლაში; ეს აღდგენა დიდათ შეუწყობს ხელს აწმყოს გაშუქებას და შეძლებას მოგვცემს გავითვალისწინოთ მომავალი საშიშროებანი.

ნუღა ვაერთებთ ხელოვნურათ რუსების ზოგად სახელწოდების ქვეშ რუთენებს, რომლებიც სლავები არიან, და მოსკოველებს, რომელთ სლავობა სრულიად საეჭვოა. ნუღა ვადასტურებთ ჩვენს სამოსწავლო პროგრამებში ერთად ერთ ფაქტს, რომელიც შესაძლებლათ ხდის მოსკოველ პანსლავიზმს: რუთენების და მოსკოველების ვითომდა იგივეობას; ერთის სიტყვით, ნუღა ვიქნებით ჩვენც პანსლავისტები.

მაშ განვიხილოთ რას გვასწავლის ისტორია. ის გვასწავლის სწორედ წინააღმდეგს იმისას, რის გასაღებასაც სცდილობს პეტერბურგის მთავრობა.

ისტორია გვასწავლის ჩვენ, რომ რიურიკი არ ყოფილა რუსეთის იმპერიის დამაარსებელი და რომ დიდი ნოვგოროდი, რომელიც ამ ნორმანდიელმა მთავარმა დაიპყრო 864 წ., არ ყოფილა მისი პირველი დედაქალაქი.

ვინაიდან რიურიკის მემკვიდრეები, რომლებიც კიევში დამყარდენ, ბოლოს მოსპობილ იქნენ მოსკოველ ხელმწიფეების მიერ, და ვინაიდან ნოვგოროდი, რომელიც მე-10 საუკუნეში გახდა დამოუკიდებელი სლავური რესპუბლიკა, განუწყვეტელს ომს აწარმოებდა ამავე ხელმწიფეების წინააღმდეგ, რომლებმაც ის ძალით შეუერთეს მოსკოვიას მე-16 საუკუნეში, მას შემდეგ რაც ის უკვე მე-15 საუკუნეში დაარბიეს.

მიუხედავათ ამისა, პეტერბურგის მთავრობამ ააგებინა ნოვგოროდში 1862 წელს ძეგლი ვითომდა რიურიკის მიერ იმპერიის დაარსების ათასი წლის თავის აღსანიშნავათ; ცნობილია, რომ სკანდინავიიდან მოსული რიურიკი 862 წელს გამოჩნდა ამ ქალაქის კედლებთან.

რატომ პეტერბურგის მთავრობამ ასე საჯაროთ უარჰყო მოსკოვის ქალაქი? იმიტომ რომ მან სხვაზე უკეთ უწყის რომ მოსკოვია არ არის სლავური ქვეყანა და იმიტომ რომ ევროპის თვალში სლავური წარმოშობის მოპოების მოსურნეს, მას ესაჭიროებოდა აკვნათ სლავური ქალაქი. ნოვგოროდის სახელწოდება ასრულებდა ამ პირობას; ის აირჩია ევრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პის მოსატყუებლათ, თუმცა მხოლოდ სამასი წელია მას აქეთ, რაც მოსკოვმა ამ ქალაქის ანექსია მოახდინა.

ისტორია გვასწავლის ჩვენ, რომ რუსულ სამთავროებს, დაარსებულს რიურიკის მემკვიდრეების მიერ დნიეპრის ნაპირებზე ბობინადრე მოსახლეობისაგან, რომელსაც დღეს ჩვენ რუთენებს ვუწოდებთ, აღარ უნდა იქნან მიჩნეული ეხლანდელ რუსეთის იმპერიის ჩანასახათ და რომ კიევის ქალაქი, მათი ძლიერების მთავარი სადგომი, შეუძლებელია ყოფილიყოს რომელიმე ეპოქაში იმის დედაქალაქი, რაც შემდეგ რუსეთის იმპერია შეიქნა.

და ეს იმიტომ, რომ რუსი მთავრები განუწყვეტლივ ომში იყვნენ მოსკოვის თავადების წინააღმდეგ; იმიტომ, რომ კიევი, ისევე როგორც ნოვგოროდი, აღებულ და დარბეულ იქნა მათ მიერ; და ბოლოს იმიტომ, რომ თავისი სიუზერენების—თათრების დახმარებით, მოსკოვიის ხელმწიფეები შეეცადენ გაბატონებულიყვენ რუს სამთავროებზე, ხოლო ეს უკანასკნელნი არასოდეს ყოფილან გაბატონებულნი მოსკოვის ხელმწიფეებზე.

პეტერბურგის მთავრობა კი იცავს სრულიად წინააღმდეგ ისტორიულ დოქტრინას.

ისტორია გვასწავლის ჩვენ ვინ იყვნენ ჟენშმარიტი დამაარსებელნი რუსეთის იმპერიისა და რა ადგილას ჩაეყარა მას საფუძველი.

ეს ადგილი არის მდინარე მოსკოვას და კლიაზმას ნაპირები; ეს დამაარსებელნი იყვნენ იური დოლგორუკი და მისი შვილი ანდრია ბოგოლიუბსკი, ჩინელათ (კიტაი) წოდებული, რომლებმაც მე-12 საუკუნის დასასრულს დააარსეს სუზდალის სამთავრო, რომლის დედაქალაქი ვლადიმირი იყო, და დაამარცხეს მოსკოვის ქალაქი.

თანდათან მოსკოვიის სახელწოდება იჭერს ადგილს სუზდალიისას, და ახალი სახელმწიფო, იზრდება რა დაპყრობის საშუალებით, ხდება იმ ვეებერთელა იმპერიათ, რომელიც გადაჭიმულია ბალტიის ზღვიდან იაპონიის ზღვამდე. მოსკოვია, მაშასადამე, არის იმპერიის ჩანასახი, სწორედ ისევე როგორც ილ დე ფრანსის სამთავრო (duché) ჰიუგ კაპეტისა არის ჩანასახი საფრანგეთის იმპერიისა.

დაარსდა თუ არა მოსკოვია, წამსვე მისი როლი აშკარად დაისახა: ჩვენ მიერ დღეს რუთენებათ წოდებულ დნეპრის სლავებზე თავდასხმა, მათი განადგურება და დასავლეთისაკენ სვლა.

ეს როლი უცვლელი დარჩა: დნეპრის შემდეგ მოვიდა ვისლის რიგი, ვისლას მოჰყვება კარპატები, დუნაი და ბოსფორი, თუ ეს დაუშვა შინაგანი დაყოფით დაავადებულმა ევროპამ.

რუსეთის იმპერიის ჟენშმარიტი წარმოშობის ეს განსაზღვრა შეადგენს უუმნიშვნელოვანეს გაკვეთილს, რომელსაც ისტორია იძლევა.

მაგრამ ისტორია გვასწავლეს ჩვენ კიდევ, რომ მე-13 საუკუნეში მოსკოველთა დიდი უმრავლესობა იყვნენ წარმართნი, მუსლიმანნი და ებრაელნი და არ ლაპარაკობდენ სლავურ ენას. მცხოვრებთა მასამ ის კილო, რომელიც რუსულ ენათ იქცა, შეითვისა ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად. მოსკოველები სლავები არ არიან.

და ბოლოს, ისტორია სხვა რამესაც მოგვითხრობს. ის გვიჩვენებს, რომ მე-14 საუკუნეში ეგევე დნეპრის რუთენები, მოსკოველებთან მუდამ ომში მყოფნი, პირიქით წინააღმდეგობის გაუწეველათ უერთდებიან ლიტველებს, რომლებიც მათ თათრებისაგან ანთავისუფლებენ და მათთან ერთად ადგენენ ლიტვის სამთავროს.

ის გვასწავლის აგრეთვე, რომ სხვა რუთენები ასევე უბრძოლველათ შეუერთდენ პოლონელებს, რომლებმაც ისინი გაანთავისუფლეს აგრეთვე თათრებისაგან.

და ბოლოს ის გვასწავლის ჩვენ, რომ პოლონეთი და ლიტვის დიდი-სამთავრო გაერთიანდენ იმავ მე-14 საუკუნის დასასრულს და პოლონელების, ლიტველების და რუთენების გაერთიანებული ძალები განაგრძობენ მოსკოველებთან ბრძოლას, ბრძოლას, რომელიც თითქოს დასრულდა ფრიად შესანიშნავ გაყოფით, ხოლო ნამდვილათ კი გრძელდება ჩვენი თვალის წინ. მართლაც, იმპერიის შიგნით რუთენები და ლიტველები, ისევე როგორც პოლონელები, გმინავენ თავიანთ დამპყრობის უღელ ქვეშ, ხოლო იმპერიის გარეთ დარჩა კიდევ დასაპყრობი რუთენები.

იმ ფაქტიდან, რომ ეს სამი ცალცალკე წარმოშობილი სახელმწიფოები გაერთიანდენ ნებაყოფლობით, ყოველივე მსჯელობას უნარს მოკლებული ადამიანიც კი დაასკვნის, რომ არსებობს დიდი მსგავსება ლიტველთა, რუთენთა და პოლონელთა შორის, რომლებიც, მართლადაც, ეკუთვნიან დიდს არიოევროპიულ რასას და საზრდოობენ მათთვის ნიშნობლივ პარტიკულიარისტულ ცივილიზაციით, და რომ, პირ იქით, ეს სამი ხალხი გამსჭვალულია აშკარა წინააღმდეგობით მოსკოველების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ტურანულ რასას და კომუნისტურ ცივილიზაციას.

რუთენების ისტორია მართლაც რომ სავსებით დავიწყებულია, რაკი მათ უყურებენ როგორც განუყოფელ ნაწილს მოსკოვიისას. რუთენების მოსკოველებისაგან ჩამოშორება ერთის დაკვრით დაამსხვრევს ყოველივე კავშირს, რომლებიც ამ უკანასკნელთ სლავურ ხალხებთან აერთებს.

დასკვნა—ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ ამ სტრიქონების შეტანას პროგრამაში. ამისათვის საკმარისია სენატის ერთი სიტყვა; ამ სიტყვას უკარნახებს ბ. ბ. სენატორებს მათი მაღალი პატრიოტიზმი.

აშკარათ დაინგრევა ის ისტორიულ-პოლიტიკური ხოხოლა, რომლის აშენებას მოსკოვია ერთი საუკუნე მოანდომა; დაინგრევა, რადგან ისტორიის პროფესორები იძულებული გახდებიან გაარჩევენ რუთენები მოსკოველებისაგან და დაახასიათონ დამრღვევი როლი მოსკოველებისა ევროპაში. რომელთ იმპერიამ არ იცის დაფუძნების და არსებობის სხვა კანონი გარეშე დაპყრობისა.»

მიიღეთ და სხვა...

კაზიმირ ფელამარ.

პარიზი, თებერვალი 1869.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის მიმოხილვა.

მოსკოვის ოინები.

30-ოდე წელია მას აქეთ, რაც ტახტზედ ახლად ასულმა ნიკოლოზ მეორემ კაცობრიობის გაბედნიერება მოისურვა და დააყენა ჰაეაგაში განიარაღების კითხვა. არავის სჯეროდა, რა თქმა უნდა, რომ აქედან რამე გამოვიდოდა, თვით დახავსებულ იმპერიას ყველაზე ნაკლებ, და ამის მჭერმეტყველი დემონსტრაცია რუს-იაპონიის ომი იყო. ამბობენ, ნიკოლოზ მეორე, როგორც ცრუმორწმუნე, ერთგვარათ გულწრფელი იყოვო. შეიძლება ითქვას ეს სტალინზე და მის ძმა-ბიჭებზე? არა, ისინი არც გვეფიცებიან ამაში. მაშინ როდესაც ყენევაში ლიტვინოვი მთელი სამყაროს, ე. ი. ხმელეთის, წყლის და ჰაერის განიარაღებას მოითხოვდა, მოსკოვში რიკოვი აცხადებდა, რომ მათი მიზანია «იმპერიალისტების გაშიშვლება». ვინ გაშიშვლდა? ლიტვინოვი და მისი გამომგზავნნი! მართლაც, ჯერ კიდევ არ გაციებულიყო მისი პირველი «პროექტი» საფლავში, საითკენაც მას უყვეს პირი «იმპერიალისტებმა», ლიტვინოვმა ამოაძვრინა ჯიბიდან მეორე «პროექტი» ნაწილობრივ განიარაღებისა და მით დაამტკიცა, რომ მოსკოვის ფახი—ახალი სიტყვა ვთქვიო—დაბალი ღირსების დემაგოგია იყო. ან კი როგორ შეეძლო მოსკოვს სრული განიარაღება? რას უშვრებოდა ხალხს, რით გადირჩენდა მისგან თავს? არარუსი ერები? რა თილისმით შესძლებდა მათ გაჩერებას თავის მონობაში? ლორდი კეშენდენი, წინეთ მაკლინი, კერზონის ყოფილი ამხანაგი ინგლისის ქვედა პალატაში, სნოუდენს შეკითხვაზე უპასუხებდა: ვიცი, საქართველოზედ ძალმომრეობა მოახდინა საბჭოთა მთავრობამ და ამას არ ურიგდება ქართველი ერიო. სწორეთ ეს კეშენდენ-მაკლინი იყო, ვინც ტყავი არ შეარჩინა ლიტვინოვს, ისე გაამათრახა ის ყენევის საერთაშორისო მოედანზედ! ლიტვინოვს ის დარჩა თავმოსაწონათ მოსკოვში დაბრუნებისას, რომ გერმანიის დელეგატი გრაფი ბერნსდორფი და ოსმალეთის საგარეო მინისტრი რუშდი ბეი ვითომ მას მხარს უჭერდენ. ნამდვილათ კი პირველმა გამოიყენა ლიტვინოვის მაქსიმალისტური პროექტი თავის მიზნებისთვის, ხოლო მეორემ, როცა კენჭის ყრაზე მიდგა საქმე, შავი ჩაუგდო მას!

* * *

მაგრამ გავყვეთ ამ ორ დელეგატს მათ ქვეყნებში, როგორაა მოსკოვის საქმე იქ? გერმანიამ შეაჩერა საგაჭრო ხელშეკრულების კონფერენცია საბჭოთა კავშირთან და მისი დელეგატები მოსკოვს გაბრუნდენ. საბაბი ამისა გერმანელ სპეცების დაჭერამ მისცა დონეცში. ცხადია, კრემლელთა თავგასულობა «მიხელის» მოთმინების ფიალას ავსებს, თვით ბროკდორფ-რანცაუ, გერმანიის ელჩი მოსკოვში, დიპლომატიურ გაწყვეტას იმუქრება, რაზედა ტჩიჩერინი იძულებულია დატყვევებულთა განთავისუფლებით თუ მოსკოვში გადაყვანით უპასუხოს. მაგრამ «ბოროტების ფესვი» ამაში როდია. გერმანელი მრეწველები და ბანკირები ამბობენ: ვნეშტორგი თავისუფლათ ნავარდობს ჩვენში, მისი აგენტები სარგებლობენ მეტოქეობით ჩვენს შორის, სცემენ ფასებს, მაშინ როდესაც ჩვენ იძულებული ვართ მარტო ერთ კონტრაგენტთან გვქონდეს საქმე—კავშირის მთავრობასთან; ბოლო უნდა მოეღოს ამ უთანასწორობას, ჩვენც უნდა შევქმნათ ერთი ფრონტი, შეკავშირებულათ ვევაჭროთ საბჭოებს... აი, ახალი ამოცანა, რომლის წინ სდგას გერმანია და მისი დამოკიდებულება მოსკოვთან. კონფერენციის შეჩერების ნამდვილი მიზეზიც ეს არის. მაგრამ ეს ამოცანა ისმის სხვაგანაც, კომპარტიის პლენუმი ამის შიშს შეუპყრია. მწიფდება აზრი, რომ გერმანია უნდა შეუთანხმდეს ამავე მიზნით საფრანგეთს, შეეკრან ერთსა და იმავე პირობებში მოსკოვს. ინგლისის მინისტრის, საბჭოთა მოსისხლე მტრის ბერკენჰედის სტუმრობა ბერლინში და მეგობრული ტოსტების გაცვლა შტრეზემანთან თითქოს იმავე მიდრეკილებას ადასტურებს.

* * *

რუშდი ბეი ყენევიდან მილანოში ჩავიდა და დუჩესთან გასცვალა ტოსტები! ვერავინ მოსკოვზე უკეთ ვერ იგრძნობდა ამ შეხვედრის ნამდვილ მნიშვნელობას! როცა გემი იღუპება, ზედ მჯდომნი თავს შველიან. სოვდეპია იძირება, მისი «მეგობრებიც» განზე იწყებენ ცქერას. რუშდი ბეის ჩამოსვლა ყენევაში, თუ გინდ მოსკოვის თაოსნობით, რომელიც ვარშავამ გამოსტაცა ხელიდან, რა თქმა უნდა, ლიტვინოვის «პროექტებს» არ გამოუწვევია. საჭირო იყო ნიადაგის მოსინჯვა ყენევაში ერთა ლიგაში შესასვლელათ. აქ რუშდი ბეიმ უთუოთ იგრძნო, რომ საჭიროა ინგლისის თანხმობა, ხოლო ამისათვის მუსოლინის, ჩემბერლენის მეგობრის, შუაკაცობა ზედგამოჭრილი უნდა გამომდგარიყო. მაგრამ უმთავრესი, რაც დღევანდელ ოსმალეთს აფიქრებს, ეს ხომ ფაშისტურ იტალიის მცირე აზიისკენ ცქერაა. აი, ამ მთავარ საკითხში მორიგება პირველი ნაბიჯი იქნებოდა ოსმალეთის ინგლისთან დასაახლოებლათ. ამბობენ, ოფიციალური განცხადებაც იყო, რომ მილანოს შეხვედრამ ჩინებულათ ჩაიარაო. თუ ამას დავუმატებთ პოლონეთის საგარეო მინისტრის ზალესკის რომში სტუმრობას, სურათი მთლიანი გამოვა...

* * *

მაგრამ სული ტკბილიაო, იტყვიან. კრემლელთ არ სურთ სიკვდილი. გლეხების და სპეცების წინააღმდეგ გალაშკრება დიდი მიქარვა იყო, პლენუმი ლამობს ამ «გადაღუნვების» გასწორებას. სამაგიეროთ გარეთ ეძებენ ხსნას. ჯერ იყო და «ცისქვეშა» იმპერიაში ისახელეს თავი, ეხლა სურთ თვით «ამომავალი მზის» იმპერიაში ითარეშონ. მათმა მოციქულებმა ტოკიოში—არც აცივეს, არც აცხელეს—იმპერატორის მოკვლა განიზრახეს. მხოლოდ ტანაკას მთავრობას ხუმრობა არ ყვარებია, მოუსვა ხელი და ახალ მოქცეულნი ასობით დააპატიმრა, თან განაცხადა აქ კომინტერნის ხელიაო. იაპონიის ელჩი მოსკოვში, რა თქმა უნდა, კომინტერნს მოსსნის ლეჩაქს და პროტესტით ჩიჩერინს მიადგება კარზედ, ან უკეთ მის აღას პოლიტბიუროს, ნამდვილ ჩამდენს ამდენ ამდენ ოინებისა. მაგრამ განა კუზიანი გასწორდება ამით? ამის პასუხი მილანოში გავარდნილი ბომბაა, რომელიც აცდა იტალიის მეფეს, მაგრამ იმსხვერპლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდძალი ხალხი. არც მუსოლინის მთავრობას უყვარს ხუმრობაო—ამბობენ.

* * *

ამასობაში მოსკოვმა თავისი ოქრო ნიუ-იორკიდან გამოაპარა. კიდევ ოინი! რადგან გერმანიის გემს ვერ ენდო—ქურდს ყველა ქურდი ჰგონია!—მეორე გემში გადატვირთა შუაგულ ზღვაში. მოსკოვს ეშინია საფრანგეთის ბანკის სეკვესტრის. ელჩი დოვგალევსკი თავს იმტვრევს გამოარკვიოს პუანკარე-ბრიანის «პოზიცია» ამ ოქროს მიმართ. გამოირკვა კი სულ სხვა: პარიზი აცხადებს ოფიციალურათ, რომ რუს-ფრანგების კონფერენცია შეჩერებულია, მოლაპარაკება ვალების შესახებ «დიპლომატიური გზით» სწარმოებსო. დოვგალევსკი ამაოთ უკაკუნებს ბრიანის კარებს, სულაც არ ელაპარაკებიან! «როსტაც» ამას სჩივის, უნდა ითქვას, სამართლიანათ. მაგრამ როგორ დაანებეს მოსკოვს ოქრო ნიუ-იორკში? იქნება ვაშინგტონი გამოესარჩლა? ოქროს ვაშინგტონის საგარეო მინისტრის კელოგის სიტყვებმა გაუსწრო: საბჭოებთან ნაღდზე ვაჭრობას არ ვუშლით ხელს, ხოლო მისი ცნობა ან კრედიტის მიცემა, ნურას უკაცრავათ, ჩვენი პოზიცია იგივეა, ე. ი. უარყოფითიაო. საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი!

რას სწერენ ბოლშევიკებზე.

საბჭოთა სამეფოს მართველები ყვირიან, ჩვენი მუშაობა არ მოსწონთ მხოლოდ ჩვენს მტრებსო. რასაკვირველია ეს მართალი არაა. რუსის და უცხოელი კომუნისტური ოპოზიციის ზრდა ამას ნათლად მოწმობს. ბორის სუვარინი საფრანგეთის კომუნისტების ლიდერი იყო. მაგრამ ოფიციალურ კომუნიზმს ვერ შეურიგდა და განზე გადგა. ხოლო თავის რწმენით დღესაც კომუნისტია, იცავს მის პრინციპებს. უყვარს საბჭოთა რესპუბლიკა და უნდა, რომ ის როგორმე არ დაინგრეს. მიუხედავათ ამისა დღევანდელ ბოლშევიკურს რუსეთში სანუგეშოს ვერაფერს ხედავს და ასე ახასიათებს მის მდგომარეობას: «სასოფლო მეურნეობა, რომელიც შეადგენს რუსეთის ეკონომიის საფუძველს, კერძო პირების ხელშია ე. ი. კაპიტალისტურია ან გამსჭვალულია კაპიტალისტურის ტენდენციებით. ინდუსტრიული წარმოება თავის მოგებით ასაზრდოებს მხოლოდ პარაზიტულ ბიუროკრატიას; მან ვერ წარმოშვა საინდუსტრიო ბურჟუაზია და ვერც შექმნა «სოციალისტური ტიპის» წარმოება. კერძო კაპიტალი ცოტაოდენ მონაწილეობას იღებს წვრილ წარმოებაში და საპატიო როლის თამაშს იწყებს სახელმწიფო ინდუსტრიაში შერეული საზოგადოებების შემწეობით. უცხო კაპიტალს ჯერჯერობით მცირე ადგილი უკავია. ხოლო საბჭოთა ეკონომიის განვითარება თვითონ ცთილობს მის გაფართოვებას. მსხვილ ვაჭრობას აწარმოებს უმთავრესად სახელმწიფო, მაგრამ ყოვლად უვარგისი აპარატის მეოხებით და ეს საქმე სრულიად საზარალოა. წვრილი ვაჭრობა სამაგიეროთ ყველგან კერძო ვაჭრების ხელშია. კოოპერატივები მხოლოდ სახელმწიფოს სუბსიდიებით და კრედიტებით ახერხებენ წინააღმდეგობა გაუწიონ მათ. სახელმწიფო კაპიტალიზმთან ბრძოლაში სარგებლობა თავის პოლიტიკურ ყოვლისშემძლებლობას, მაგრამ მაინც ვერ იმარჯვებს. წარმოების ხარჯები უზომოა. რუსეთში ყოველი საქონლის წარმოება ორნახევარ ჯერ მეტად ღირს ვიდრე უცხოეთში. წვრილი ვაჭრობის (საცალო) ბაზარზე საქონელი კიდევ უფრო ძვირია. ხარჯების შემცირების ცდა გრძელი სიტყვებით და ცირკულიარებით ყოველთვის უნაყოფო დარჩა. პროდუქცია ძალიან მცირეა და ნაწარმოებთა ნაკლებობა მეტად მწვავეა. ხელფასი დაცემულია. ბიუჯეტი ომის წინა დროისაზე ნაკლებია და შეიცავს იმდენს არაპირდაპირ გადასახადს, რამდენიც არაა არც ერთს კაპიტალისტურ ბიუჯეტში. უმუშევართა რიცხვი მილიონ ნახევარია, ოფიციალურ სტატისტიკით, მაგრამ ნამდვილად ორჯელ მეტია და ეს რიცხვი თანდათან იზრდება!»

—

ათი წლის იუბილეს გამო ბოლშევიკებმა ბევრი უცხოელი მიიწვიეს რუსეთში თავის «სამოთხის» საჩვენებლად. გზის ფული ჭამა-სმა, ბინა—ყველაფერი თვითონ იკისრეს და უჩვენეს სტუმრებს მორთულ-მოკაზმული ბოლშევიკური ცხოვრება, სადაც მუშის მდგომარეობა უმაღლეს ბედნიერებამდეა მიღწეული. მაგრამ ამ უცხოელთა შორის იყო ბევრი ფხიზელი ადამიანი, რომელთაც მოახერხეს სინამდვილის დანახვა და უკან, რომ დაბრუნდენ, საშინელი სურათები გადაუშალეს ევროპიელებს რუსეთის ამბების, ერთი ასეთთაგანია ფრანგი მუშა ლეროი, რომელიც 1907—1918 წლ. რუსეთში მუშაობდა, რუსული კარგად იცის და შარშან რამდენსამე თვეს დაჰყო საბჭოთა რესპუბლიკაში. იგი ახლა მოგვითხრობს თავის შთაბეჭდილებებს. აღნიშნავს უზომო სიძვირეს, შრომის ფასის სიმცირეს, მუშების გაჭირვებას და უკმაყოფილებას, სრულს მონობას. «ორნი უნდა იყოთ პირისპირ, რომ თავისუფლად გამოსთქვათ თქვენი აზრი. თუ მესამეა ვინმე თქვენთან ფრთხილად უნდა იყოთ, არ გიჯავშუშოთ. ქარხანას პოლიტიკური გამგის ერთად ერთი მოვალეობა ისაა, რომ მუშებს უთვალთვალოს და ერთი სიტყვა, ერთი ხელის დაქნევა არ გამოეპაროს. მუშები იძულებულნი არიან მოერიდონ ამ გამგის შენიშვნას, რომელსაც ადვილად მოყვება ხოლმე უსაქმოდ დარჩენა, უმუშავრობა, შიმშილი. მცირეა მუშის ქირა, მაგრამ ამიდანაც რამოდენიმე მანეთი უნდა შესწიროს «თავის ნებით და აღფრთოვანებით» საჰაერო ფლოტს თუ პროლეტარიატის დაცვას უცხოელ კაპიტალისტებისაგან თუ სხვას. აი ნამდვილი დამახასიათებელი სურათი რუსეთის: როდესაც კვდება მუშა, რომელსაც არაფელი დარჩა, მას მარხავენ, როგორც ძაღლს. სამაგიეროთ როცა კვდება ვინმე ვაჭარი, მის ძვირფას კუბოს დასდგამენ ბალდახინზე, რომლის ოთხვე კუთხეს მორთავენ ნამგლის და ჩაქუჩის ნიშნებით და დაასაფლავებენ არაჩვეულებრივის ამბით. საზიზღრობაა!»

ასეთს დასკვნებს, ბოლშევიკების უცხოელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრების მიერ გამოთქმულს. დღეს ბევრს შეხვდებით ევროპის ჟურნალ-გაზეთებში.

—

ბელგიის სოციალისტების გაზეთი Le peuple ეხება რუსეთის დღევანდელ მწარე მდგომარეობას და ამბობს: «ძლივს დაჩუმდენ საბჭოთა ათი წლის საიუბილეოო საყვირები და უკვე რუსეთის ქალაქებსა და სოფლებში გაისმის გაჭივრების ხმა. რომელიც არ გაგონილა კარგა ხანია. ნეპის დაწესების შემდეგ, რომლით დათავდა ეგრე წოდებული «ომის კომუნიზმი» და რომელმაც სავსებით აღადგინა კაპიტალისტური რეჟიმი, რუსეთს არ უნახავს დღევანდლისთანა ძლიერი ეკონომიური კრიზისი. ტროცკიმ და მისმა თანამოაზრეებმა იწინასწარმეტყველეს კრიზისი და მოითხოვდენ «ომის კომუნიზმს» დაუბრუნდეთო, რაიც უთუოდ უარეს გაჭივრებას შექმნიდა. კრემლის მართველები დასცინოდენ ოპოზიციის გულუბრიყვილობას. მაგრამ აი დღეს ოპოზიციის წინასწარმეტყველობა შესრულდა, და სტალინმა ვეღარაფერი გამონახა მის წინააღმდეგ გარდა ტროცკის ბავშვურ მეთოდებისა. რიგები იზრდება არა მხოლოდ საწვრილმანო და ფაბრიკის ნაწარმოებთა სავაჭროებთან, არამედ მეპურეების და მერძევეების წინ. გაჩნდა კვლავ რიგები კარაქის, რძის, კვერცხის, საპონის სავაჭროებთან და უბრუნდებიან პურის საყიდ ბარათებს. სოფლად გლეხებს ძალით ართმევენ ხორბალს, ატუსაღებენ, ომს უცხადებენ გლეხებს. ეს არაა ჯერ კიდევ სიმშილი და სამოქალაქო ომი, მაგრამ არის ნიშნები, რომლებიც მოგვაგონებენ 1921 და 22 წლებს.» გაზეთი ასე ათავებს თავის წერილს: «რუსეთის ხალხი მეტად მოთმენია, მაგრამ უსამზღვროა ეს მოთმინება? მართალია, საბჭოთა მართველობამ შვიდი საათის სამუშაო დღე შემოიღო. მაგრამ უკეთესი იქნებოდა, ეკითხა თავისთვისთვის: აიტანს რუსეთის ახლანდელი ეკონომიური მდგომარეობა შვიდი საათის სამუშაო დღეს და არ გამოიწვევს იგი გაუარესებას, სიძვირეს და მეტს გაჭივრებას?»

ნ. ნიკოლაძე.

ნიკო ნიკოლაძე მოკვდა. ყველა ადამიანი მხოლოდ თავისი თაობის კაცია, ნიკოლაძემ სამი თაობა ჩაიარა. დაიწყო ილია ჭავჭავაძესთან ერთად და ორმოცდაათი წლის შემდეგაც პირველი მიდიოდა ეროვნულ-დემოკრატიულ სიაში, რომელშიაც ქართველი ნაციონალისტების უკვე მესამე თაობა შედიოდა. მაგრამ ეს არა ნიშნავს, რომ ნიკოლაძეს პარტია ჰყავდა, ან პარტიას ნიკოლაძე ჰყავდა. პარტიაში ნიკოლაძე ძალიან ძვირფასი და ძალიან სასწაულთმოქმედი ხატი იყო, მაგრამ სხვა ეკლესიიდგან და და სხვა მრევლიდგან გადმოსვენებული.

მე არა ვწერ არც ამ გამოჩენილი ქართველის ბიოგრაფიას, არც მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობის შეფასებას. ნიკოლაძე ეკუთვნის იმ იშვიათ ადამიაათა რიცხვს, რომლებმაც თავისი ისტორია თითონ უნდა სწეროონ. უამისოდ ბევრი რამ მათის პიროვნებისა გამოუცნობი და, რაც უფრო მთავარია, განუმარტავი დარჩება. ამას თოთონ ნიკოლაძეცა გრძნობდა და ბოლო ხანებში მოგონებების წერას შეუდგა. ზოგი რამ ამ მოგონებისა კიდევაც დაიბეჭდა. წლებმა და თავგადასავალმა ცეცხლი ვერ გაუნელეს და მისი კალამი ძველებურად აქაც ნიკოლაძისებური გამოდგა. ამ მოგონებაში ჩვიდმეტი წლის ნიკოლაძე მართლა რომ იდეალისტი-ახალგაზდას მომხიბლავი ტიპია. როგორ გამორდა თანდათან ამ იდეალიზმს, ალბად ამისი განმარტებაც იქნება შემდეგ თავებში. მაგრამ დღევანდელ ჩვენი ვითარებისთვის ამ მოგონებათა უფრო ბოლო ნაწილს ექნებოდა მნიშვნელობა. მისმა საქართველოში დაბრუნებამ, ამ «სისხლის წვიმების» დროს ბევრი მითქმამოთქმა დაბადა და მე შემეძლო ზოგი რამ მეთქვა, როგორ უცქეროდა განსვენებული თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ნაბიჯს.

ნიკოლაძე დიდ როლს თამაშობდა საქართველოში, თუმცა არც «საკუთარი» დოქტრინა ჰქონია, არც საკუთარი პარტია ჰყოლია ორივე ეს გარემოება დროსი და მისი რთული ბუნების ბრალია. დოქტრინის უქონლობა იმ საღი სკეპტიციზმით აიხსნება, რომლითაც მოცული იყო მთელი მისი ასება. უფრო ნაკლებ ენდობოდა ადამიანებს, რომ საკუთარი პარტია ჰყოლოდა. მაგრამ ნიკოლაძეს სხვა გასაოცარი თვისება ჰქონდა. თავისთავის პარტიას არა ჰქმნიდა, მაგრამ თავის წინააღმდეგ ბევრი პარტია შექმნა. ეს გარემოება მისი გავლენის დიდი ძლიერების მაჩვენებელია. პუბლიცისტი ბრწყინვალე იყო. რედაქტორი—უფრო შესანიშნავი. შედარებაზე იქნებ თითონ ეთქვა უარი, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ კლემანსოსავით საზოგადოებრივ აზრს ისიც «დამბაჩისა და ხმლის» საშუალებით მართავდა. მისი დუელები ფსიქოლოგიური დამატება იყო იმისა რასაც სწერდა, ან ამბობდა. საქართველოში, სადაც ჭირვეული ხალხი და ბრეტერი უფრო მეტი იყო, ვიდრე მწერალი დაგაზეთი, დუელი ქართული მოვლენა უფრო იყო, ვიდრე უცხოეთიდგან გადმონერგილი პრესის ზნე-ჩვეულება. ცნობილია მისი დუელი თვით ილია ჭავჭავაძესთანაც.

მისი ტფილისური «ობზორი» მთელ რუსეთში ჰქუხდა. იგივე იყო გმირი იმ სასამართლო პროცესისა, რომელიც ამ «ობზორის» რადიკალიზმს მოჰყვა. ეს პროცესი მრავალ მხრივ იყო მაშინ შესანიშნავი, ნიკოლაძეს ეს კარგად ესმოდა და თავს გააფთრებით იცავდა. სასამართლოს შეკითხვაზედ—რა განათლებისა იყო?—ნიკოლაძემ მოკლედ მოუჭრა: «ვ პრედელახ როსსისკოი იმპერიი კურსა ნე კონჩალ!» თქმა არ უმდა, რომ კითხვაცა და და პასუხიც კაეერზული იყო. მაგრამ ეფექტი პასუხში უფრო მეტი იყო და ნიკოლაძემ ერთის თქმით აღნიშნა ის სხვადა სხვაობა პოლიტიკისა და კულტურისა, გემოვნებისა და იდეალისაც, რომელიც მისა და მის მოსამართლეთა შორის არსებობდა. ამ პასუხით ნიკოლაძემ თავი ევროპიელად გამოაცხადა. «კაკ ბობორიკინ ზნალ ევროპუ!»—სწერდა მასზე დავით ერისთავი-გლუხარიჩი. მე ვიტყოდი, რომ ბობორიკინზედაც უკეთ! მაგრამ შიგ რა ეყარა? მთელი იმისი ტრაღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია ის იყო, რომ ევროპას ასე იცნობდა და რუსულ პირობებში კი უხდებოდა ყოფნა.

მისი შესანიშნავი «ლუი ბლანი და გამბეტა» პოლიტიკური მსჯელობის კლასიკური ნიმუშია. მაგრამ სად? იქ—საფრანგეთში. ლუი ბლანის და გამბეტას სამშობლოში! რუსეთისათვის იგი ქარაგმა იყო ვინ გახსნიდა ამ ქარაგმას? სხვამ ვერ გახსნა და თითონაც არაფერი გამოუვიდა. მისი შუა-კაცობა რუსეთის მთავრობასა და ნაროდოვოლცებს შორის სწორედ ასეთი უნაყოფო ცდის მაგალითია. ეს ამბავი დიდად საყურადღებოა და იქნება ყველაზედ საჩოთიროც ზთელ მის ცხოვრებაში. შემდეგში, მრავალი წლის მერე, თითონვე სწერდა, რამდენად სახუმრო საქმე არ იყო მთავრობასთან რევოლიუციონერების სახელით ლაპარაკი და რევოლიუციონერებთან მთავრობის სახელით. იქნება შედეგისა თვითონაც არ სჯეროდა! მაგრამ ჩერნიშევსკის დახსნაც—რაც წინდაწინვე ჰქონდა დაბეგებული—რამეს ნიშნავდა და საქმისთვის ჭკუა და უნარი არ დაუკლია. შუა-კაცობამ უქმად ჩაიარა. მთავრობისა და რევოლიუციონერების შერიგება არ მოხდა. რუსეთი გამბეტას ვერ წარმოიშობდა და, კაცმა რომ სთქვას, რუსეთში ლუი ბლანებიც სხვანაირები იყვნენ. ის რუსის რევოლუციონერი, რომელიც ნიკოლაძეს ლუი ბლანის სახით ჰყავდა წარმოდგენილი, გაცილებით უარესი გამოდგა—ბოლშევიკი! მაგრამ რას იფიქრებდა რომ ბოლშევიკების სრული მეუფება სწორედ მის სიცოცხლეში დადგებოდა და სიკვდილიც მათ ხელში მოუსწრებდა.

ნიკოლაძე უკანასკნელად 1924 წელს ვნახე. ეს იყო აგვისტოს აჯანყების წინ. მისმა საქართველოში დაბრუნებამ, როგორცა ვსთქვი, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ფარულად მომუშავეებს, რა თქმა უნდა, მისი ჩამოსვლა არ მოგვეწონა. არ მოსწონდა ფართე საზოგადოებასაც. ბოლშევიკები ათას ხმას ავრცელებდნენ და ამ ამბავის გამოყენება სურდათ. ამბობდნენ, რომ შესახვედრად «თვით» ორჯონიკიძე წავიდა ფოთშიო. ეს ხმა მართალი არ გამოდგა. ზეიმს ადგილი არა ჰქონია, მაგრამ არც «გათახსირებას» ჰქონდა ადგილი: ნიკოლაძისათვის ეგრედ წოდებული დეკლარაცია არ ჩამოურთმევიათ.

ნიკოლაძის ნახვას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს, ჩვენთვისა და ალბად თვით ნიკოლაძისათვისაც, დიდათ საჩოთიროა და სახიფათო საქმე, დამოუკიდებლობის კომიტეტმა კ. ანდრონიკაშვილს და მე მოგვანდო. ნიკოლაძე ცალ-ცალკე უნდა გვენახა და პირველი ანდრონიკაშვილი წავიდა დანიშნულ ადგილზედ. როდესაც მე მივდიოდი, განსვენებულის შეხედულება ჩვენი ბრძოლის საკითხებზედ კ. ანდრონიკაშვილისაგან უკვე ვიცოდი და თამამად მივდიოდი. ვიცოდი რას მეტყოდა და რას უპასუხებდი.

რამდენადაც მახსოვს, პარლამენტის, თუ დამფუძნებელი კრების ტრიბუნაზედ ნიკოლაძე სულ ერთხელ გამოვიდა. საზოგადო აზრი ისეთი იყო, რომ ნიკოლაძე ორატორი არ იყო. მაგრამ მოსაუბრე შესანიშნავი. ვისხედით პირისპირ, ასე სხვანაირები, როგორც წლოვანობით, ისე სახელის ყალიბით, ერთი შერიგებული, მეორე შეთქმული, მაგრამ მაინც ერთი პარტიის ხალხი, რომელთაც ლაპარაკი გულდასმით შეგვეძლო. ნიკოლაძე ლაპარაკობდა მხურვალედ და ცეცხლიანად. ლაპარაკობდა ევროპაზედ, ინგლისის პოლიტიკაზედ. ლორდი კერზონი მაშინ ჩვენში დიდ მოდაში იყო და კერზონზედაც ილაპარაკა. სთქვა ცოტა რამ თავისთავზედაც და უფრო მეტი კი ბოლშევიკებზედ. თავის თავზედ სთქვა, რომ რაღაცა სამი წელიწადი კიდევ დამრჩა და მინდა ჩემს ხალხში მოვკვდეო. მისი ლეგენდარული ჯანსაღობა მეც გაგონილი მქონდა და ვუთხარი, რომ საქართველოს მეორე დამოუკიდებლობასაც უნდა მოესწროთ—მეთქი. აი, მაშინ მითხრა, რომ ეგ დღე მეცა მწამს, მაგრამ ყველას ჩვენი ვალია ქართველ ხალხს ამ დღისათვის სიცოცხლე შეუნარჩუნოთო. ბოლშევიზმის დღეგრძელობა მას არა სწამდა. მან მითხრა, რომ ბოლშევიკური რუსეთის რღვევა შორეულ-აღმოსავლეთიდგან დაიწყება, შესაძლებელია, ეს ამბავი სამ წელიწადშიაც მოხდეს და მანამდე ბრძოლაზედ ხელი უნდა აიღოთო...

ჩვენ მაშინ ბრძოლაზედ ხელი არ აგვიღია და ცოტა ხანს იქით აგვისტოს ამბავიც დატრიალდა. მე ის აღარ მინახავს, მაგრამ ალბად ფიქრობდა, რომ ის იყო მართალი და არა ჩვენ. ეს სულ სხვა კითხვაა. კიდევ გაიარა ხანმა და როდესაც შორეულ-აღმოსავლეთში ბოლშევიკების საქმე მართლა გართულდა, მე ძალიანა მსურდა რომ ნიკოლაძე მართალი ყოფილიყო. მაგრამ მისი წინასწარმეტყველებიდგან ჯერ მხოლოდ ყველაზედ უარესი ახდა—მისი სიკვდილი. ეს დიდათ სამწუხაროა ამბავი ერთხელ კიდევ წამოსჭიმავს ქართველი ერის წინაშე ამ ბრწყინვალე ქართველის ხსოვნას და ჯერი მის მეორე წინასწარმეტყველებაზედ არის—ბოლშევიზმი უნდა დაიღუპოს, საქართველო აღსდგეს! ამაში ჩვენსა და ნიკოლაძის შორის დავა არა ყოფილა. ჩვენ გავიყარენით ისეთ საკითხებში სადაც უპირატესობა ისტორიულად მუდამ მებრძოლი გულის მხარეზედ ყოფილა და არა მხცოვანი თავისა. საქართველო უნდა აღსდგეს, მაგრამ თვით ქართველი ერის ხელის გამოღებითაც!..

შ. ამირეჯიბი.

გუსტავ ადორი.

გუსტავ ადორი გარდაიცვალა წარსულ მარტის 31 ქენევის ახლოს თავის კოპწია მამულში, რომელიც ლემანის ტბას ამაყურად დასცქერის, თითქოს სალამაზეში ეჯიბრებოდეს. 82 წელს უკვე გადასული ადორი კიდევ 29 მარტს წითელი ჯვრის ინტერნაციონალურ კომიტეტის სხდომას ხელმძღვანელობდა, რომლის სახელგანთქმული თავმჯდომარე ის იყო მთელი უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში. ათიოდე დღით წინ სიკვდილისა წერილი მომწერა, სადაც ის დიდ ინტერესს იჩენდა ჩვენი პოლიტიკური ტუსაღებისადმი.

იშვიათია ადამიანი, რომელსაც ამ ხნოვანობამდის მიეღწიოს და შერჩენოდეს ასეთი ახალგაზდური ჭკუა-გონება, შრომის უნარი, საზოგადო საქმის ინტერესი. ასეთი ბედნიერება რჩეულთა ხვედრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადორი, ახალგაზდობიდანვე ქველმოქმედების დიდი მოყვარე, ნახევარ საუკუნის განმავლობაში გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეც იყო. მან განვლო სახელმწიფოს ყველა უდიდესი და საპატივო საფეხურები საზოგადოების ერთგულ სამსახურში. მაღალი ტანით და სულიერათ, მჭერმეტყველი და დარბაისელი, პირდაპირი და გონიერი, იგი ახალგაზრდობაშივე იპყრობს საზოგადო ყურადღებას, მალე ხდება თავისი პარტიის ლიდერი და იხვეჭს ნდობას და პატივისცემას მოწინააღმდეგე ბანაკშიაც.

ადორი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა ჩვენს საქმეს. მას ღრმად სწამდა ქართველი ერის მომავალი და ძალიანი თანაგრძნობით გვიყურებდა ამიტომაც. ღრმად მოხუცი და საქმეებით დატვირთული, სიამოვნებით მოვიდა ჟენევის უნივერსიტეტში გამართულ მიტინგზე მაისში 1924 წ. სადაც სხვათაშორის ჩვენს დაუვიწყარ კარლო ჩხეიძეს უნდა წარმოეთქვა სიტყვა და სადაც ის შეპირებული მყავდა კარლოსთან გამეცნო. და როდესაც 1925 წლის შემოდგომაზე ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია იქნა მოწვეული ჟენევაში და საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტმა შესაფერი მიღება გაუმართა მას ინტერნაციონალ კლუბში, კვლავ დაესწრო ადორი იმავე ხალისით, გაეცნო თავმჯდომარეს და კარგა ხანს მხიარულათ ემუსაიფა.. როდესაც ვაცილებდი და მადლობა ვუთხარი, მიპასუხა: «დიდი სიამოვნებით ავასრულე ჩემი მოვალეობა, პატივი მეცა თქვენი თავმჯდომარისათვის. დავკლებოდი, მეწყინებოდა და ძალიან მოხარული ვარ, რომ გავეცანი ამ სიმპატიურ და დიდ პიროვნებას»-ო. ეტყობოდა მასზე თავმჯდომარემ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

ადორმა ჟეშმარიტათ დაიმსახურა კაცობრიობა—ეს უთხრეს მას შვეიცარიის პრეზიდენტმა შულტესმა, ჩვენმა მეგობრებმა ბერნარ ბუვიემ და ცნობილმა პასტორმა ფრანკ ტომამ წმინდა პეტრეს ტაძარში 3 აპრილს განსვენების დროს.

ჩვენი მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ შესაფერი თანაგძნობის ტელეგრამა გამოუგზავნა ადორის ოჯახობას და საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურმა კომიტეტმა ყვავილების გვირგვინი დაადო საქართველოს სახელით.

ხ. შავიშვილი.

ნიკო ნიკოლაძე.

9 აპრილს ბერძნების ეკლესიაში ქართველთა ასოციაციის მიერ გადახდილ იქნა პანაშვიდი ცნობილ მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის გარდაცვლის გამო. პანაშვიდს დაესწრო დიდძალი საზოგადოება, უმეტესათ ქართველები. დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, საქართველოს ელჩი აკ. ჩხენკელი, აზერბეიჯანის, მთის, სომხეთის, უკრაინის წარმომადგენელნი. სამძიმარს იღებდენ განსვენებულის შვილები და მათი ნათესავები.

კავკასია-უკრაინის კლუბში.

4 მაისს, საღამოს 9 საათზე კავკასია-უკრაინის კლუბში მოხსენებას გააკეთებს ყუბანის დელეგატი ბ. აიტეკ ნაბიტოკი შემდეგ თემაზე: «ჩერქეზების წარმოშობა». მოხსენება განსაკუთრებით ქართველებისთვის არის საყურადღებო.

ახალი წიგნაკი.

გამოვიდა გ. გვაზავას წიგნაკი «საქართველო და ეროვნულ-დემოკრატ. პარტია» (წერილი მეორე). ავტორი ეკამათება სპ. კედიას და მრავალის მოსაზრებით ამტკიცებს პარტიათა თანამშრომლობის აუცილებლობას.

შემოწირულება.

საქ. სოც. დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიურომ მიიღო პოლიტ. გადასახლებულთათვის:

ვიენის დეპარტამენტიდან. ას-ასი ფრ. გ. ყღენტი, ე. ურუშაძე, ს. მათითაიშვილი; ორმოცდაათ-ორმოცდაათი ფრ. კ. შარაბიძე, შ. ბერიშვილი, ს. ჩიქვილაძე, ავთ. ურუშაძე. დ. ლომთათიძე, ზ. ალიმბარარაშვილი, ს. ალიმბარაშვილი, გ. უჩაძე, პ. რუხაძე, ვ. კვაჭანტირაძე, არ. კიკვაძე. ნ. ნიჟარაზე, ს. გოგიბერიძე, ი. სალუქვაძე, ვ. დოლიძე, ს. ჩხაიძე, ვასო საბახტარიშვილი; ოცდახუთ-ოცდახუთი ფრ. ა. კოსტავა, ბ. მელიქაძე, გ. სურგულაძე, ისკანდერ მეგრელიძე, ერ. მაჭავარიანი, უსახელო. აგრეთვე ნ. ორაგველიძისაგან 100 ფრ. სულ 1400 ფრ.

პრაგიდან: აიოლო ნინო და გრიგორი 50 კრ., ვლ. ინწკირველი 25 კრ., ლიდა და მიხ. უბირია 25 კ., არზ. ემუხვარი 20 კრ., ემ. ლომთათიძე 20 კრ., ფილ. ლორია 15 კრ., ვ. ყღენტი 15 კრ., დ. ჩხიკვაძე 15 კრ.; ათ-ათი კრ. დ. ღოღობერიძე, ნ. დოლიძე, გ. ნაკაშიძე, ნ. მგალობლიშვილი.

პრაგის ქართველ ემიგრანტთა კოლონიის გამგეობისაგან 207 კრ.

ქარ. ს.-დემ. ორგანიზაციდან 200 კ. სულ 632 კრ.

გერმანიიდან: ალ. ფაჩულია 22 მარ. და 50 ფ., ათ-ათი მარკა: დ. საღირაშვილი, დ. ბერძენიშვილი, გულშემატკივარი; ხუთ-ხუთი მარკა: ვ. კალანდაძე, მ. კაუხჩიშვილი, რ. მკურნალი, ალ. კორძაია; გ. საჯაია 4 მ., ვ. გოგნიაშვილი 4 მ., ს. გეგელაშვილი 3 მ., მ. წულუკიძე 3 მ., ვლ. ახმეტელი 2 მ., ი. ირემაშვილი 1 მ. და 50 ფენ., თითო-თითო მარ.: გ. გელაზანია, ვ. ნოზაძე, ღარიბი სტუდენტი. აგრეთვე ზ. ჩიჩუასაგან 5 მ. სულ 115 მარკა.

Rédaction et Administration.
M. J. GOBETCHIA
7, rue de Ponthieu, 7. Paris.

Imprimerie « La Gazette de S.-et-O. » — Arpajon Le Gérant : LAGILIÈRE.